

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



ბესიკი გულიაშვილი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო  
სასამართლო

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ბ.ქანთარია

ასოც. პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

**განაცხადი**

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას, არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად შემუშავებულ ან ხარისხის დასაცავად წარდგენილ ნაშრომებს, იმგვარად რომ არ იყოს მითითებული ანდა ციტირებული, სათანადო წესების დაცვით.

ბესიკი გულიაშვილი \_\_\_\_\_ -----/-----/ 2019 წელი

## ანოტაცია

ცივილიზებული სახელმწიფოები მისწრაფვიან იმისაკენ, რომ ჩამოაყალიბონ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო. ამისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ხელიუფლება უნდა იყოს განაწილებული საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებს შორის.

ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა ნათლად დაგვანახებს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ატარებს საქართველოში ხელისუფლების ურთიერთკონტროლის მექანიზმების შემუშავება და მათი პრაქტიკაში საკანონმდებლო დონეზე დანერგვა.

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და ასევე ხელისუფლების ცალკეული განშტოებები. ასევე გაანალიზებული იქნება, თუ რა მექანიზმები გააჩნიათ იმისათვის, რომ განახორციელონ ურთიერთ კონტროლი. ნაშრომში შედარებული იქნება ანგლოსაქსური და ევროპული კონტროლის მოდელები, გამოიკვეთება მათი დამახასიათებელი და განმასხვავებელი ნიშნები. ამავროულად განხილული იქნება საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები და მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოც. ვიმსჯელებთ, რა როლი ენიჭება ხელისუფლების შტოთა დაბალანსების, ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის ქმედითობის უზრუნველყოფის პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს. განხილული იქნება რა როლს ასრულებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ასევე შემოგთავაზებთ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ქართული კანონმდებლობის ზოგად მიმოხილვას. ნაშრომში შეეხება აგრეთვე ხელისუფლების უზურპაციის დაუშვებლობას და რა ურყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას.

## **Annotation**

### **The principle of separation of power and the Constitutional Court**

**Besiki Guliashvili**

Civilized Nations are yearning to establish democratic and legal nation. The essential precondition to achieve this goal is to separate power into legislative, executive and judicial branches.

Discussion presented in writing will show us how it is important in Georgia to establish mutual control mechanisms between three branches of state's government and implement them in legislative practice.

In the present writing there will be discussed the principle of separation of powers and also separate branches of government. There also will be analyzed the existing mechanisms of three above mentioned branches for mutual control. In the writing there will be compared two main models of controls i.e on the one hand Anglo-Saxon model and on the other hand European model and will be emphasized their common and distinguished features. There will also be discussed organs which exercise judicial control and inter alia constitutional court. There will be discussed the importance of constitutional court in order to balance and provide separation of powers and mutual control between branches of government. There will be emphasized the importance of constitutional court in establishment of law policy. There will be suggested review of the Organic Law of Georgia "On the Constitutional Court of Georgia". There is also noted impermissibility of accroach and negative consequences of it.

## სარჩევი

შესავალი.....	6-8
<b>თავი I. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი</b>	
1.1 ხელისუფლების დანაწილების თეორია და მისი განვითარება.....	9-13
1.2 საკანონმდებლო ხელისუფლება.....	14-16
1.3 აღმასრულებელი ხელისუფლება.....	17-20
1.4 სასამართლო ხელისუფლება.....	21-24
<b>თავი II . ურთიერთკონტროლის არსი</b>	
2.1 ურთიერთკონტროლის აუცილებლობა.....	25-27
2.2 ხელისუფლების შოტოებს შორის ურთიერთკონტროლის მექანიზმები საქართველოში.....	28-35
2.3 ხელისუფლების უზურპაციის დაუმუშავლობა.....	35-37
<b>თავი III. საკონსტიტუციო კონტროლის ზოგადი მიმოხილვა</b>	
3.1 საკონსტიტუციო კონტროლის ცნება.....	38-43
3.2 საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი სახეები.....	43-47
3.3 ანგლოსაქსური და ევროპული საკონსტიტუციო კონტროლის თავისებურებანი.....	47-53
<b>თავი IV. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ხელისუფლების დანაწილების პროცესში</b>	
4.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და მისი კომპეტენცია..	54-56
4.2 საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი კონსტიტუციურ ორგანოებს შორის.....	56-60
4.3 საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი და მისი გავლენა (პრაქტიკა) სამართლის პოლიტიკის განვითარებაზე...	61-65
4.4 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თავისებურებანი.....	65-69
<b>დასკვნა</b> .....	70-71
<b>გამოყენებული ლიტერატურა</b> .....	72-75

## შესავალი

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება ახასიათებს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რაც სახელმწიფოს ფუნქციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე აღნიშნული საკითხის კვლევა უმნიშვნელოვანესია, რადგან სახელმწიფოს ინსტიტუტების განვითარებასთან ერთად, საჭირო ხდება შტოებს შორის უერთიერთ კონტროლისა და ბალანსის მექანიზმების დანერგვა და მათი დახვეწა.

ხელისუფლების დანაწილება წარმოადგენს ერთგვარ პრევენციას, რათა არ მოხდეს ერთი რომელიმე შტოს მიერ ხელისუფლების უზურპაცია. ამავდროულად ხელისუფლების დანაწილება განპირობებულია იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ეფექტურად და ჯეროვნად განახორციელონ მათზე ნაკისრი ვალდებულებები.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, ხელისუფლება გამიჯნულია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის. ხელისუფლების დანაწილება მოითხოვს, შტოებს შორის გაწონასწორებისა და კონტროლის მექანიზმების არსებობას, რომელიც განმტკიცებული უნდა იქნეს ქვეყნის უმაღლესი კანონით „კონსტიტუციით“. ამავდროულად აღნიშნული პრინციპი მოითხოვს დაცვასა და პრევენციული ღონისძიებების გატარებას, აქედან გამომდინარე, საჭირო ხდება ისეთი ინსტიტუტის არსებობა, რომელიც განახორციელებს კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას ანუ კონსტიტუციურ კონტროლს. განვითარებული პრაქტიკის შესაბამისად ასეთ ინსტიტუტად გვევლინება საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კონსტიტუციური კონტროლის სპეციალიზებული ორგანოა. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ხელისუფლების დანაწილების პროცესში უმნიშვნელოვანესია და მას ევალება ზედამხედველობა გაუწიოს ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციურ გამიჯვნას და ასევე მათი უფლებამოსილებების საზღვრის დადგენას.

საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება, როგორც ნეგატიური კანონმდებელი და იგი ამავედროულად დიდ როლს თამაშობს, სახელმწიფოში სამართლებრივ პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

**ნაშრომის მიზანი და ამოცანა:** ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის, კერძოდ ხელისუფლების დანაწილების თავისებურება, ურთიერთ კონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირება და მისი როლი კონტროლის სისტემაში, ასევე შემოთავაზებული იქნება კონკრეტული იდეები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ხელისუფლების კონტროლის ეფექტურად განხორციელებას. საკვლევი თემის ანალიზი, რომელიც ეფუძნება გასული საუკუნეების და თანამედროვე მკვლევრებს მოსაზრებებს მიმართულია იმისაკენ, რომ ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მკითხველს ყოველმხრივ აღიქვას, თუ რას ნიშნავს ხელისუფლების დანაწილების თეორია და რა როლი ეკისრება საკონსტიტუციო სასამართლოს ამ თეორიაში.

**თემის შესწავლის მდგომარეობა:** ხელისუფლების დანაწილების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს როლთან და ასევე ზოგადად ურთიერთგაწონასწორების საკითხთან დაკავშირებით, ერთიანი ნაშრომი არ არის შექმნილი, მაგრამ ქართველ მკვლევრებს ცალკეული თავები აქვთ მიძღვნილი. როგორც ასეთი, ამ საკითხის ერთად თავმოყრა და ერთიანობაში მსჯელობა ხდება წარმოდგენილ ნაშრომში.

**კვლევის მეთოდები:** ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები. რაც საბოლოო ჯამში, ხელისუფლების დანაწილების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლოს როლთან დაკავშირებით მკითხველს შეუქმნის სრულ სურათს.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:** სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია კომპიუტერზე აკრეფილი ტექსტის 75 გვერდზე. ნაშრომი სტრუქტურულად შედგება ანოტაციის, შესავლის, 4 თავისა, 14 ქვეთავისა და დასკვნისაგან, რასაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია 72–75 გვერდებზე.



## თავი I. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

### 1.1 ხელისუფლების დანაწილების თეორია და მისი განვითარება

„ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მოითხოვს, ხელისუფლების შტოთა (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების) ერთი მხრივ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას, მათი კომპეტენციების მკვეთრ გამიჯვნას, როგორც უფლებამოსილებების ისე შესაბამისად პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას, ხოლო მეორე მხრივ - ურთიერთ კონტროლსა და გაწონასწორებას“.<sup>1</sup>

მსგავსი დანაწილება უზრუნველყოფს იმას, რომ არ მოხდეს ერთი რომელიმე ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების მითვისება, რაც გულისხმობს იმას, რომ „ძალაუფლების მიმთვისებელი ხელისუფლება“ ავტომატურად იქცევა სხვა ხელისუფლების განშტოებების ზემდგომად, რაც აუცილებლად გამოიწვევს ძალაუფლების იმგვარად გამოყენებას, რითაც შეიზღუდება დანარჩენი ხელისუფლების უფლება-მოსილებები, რაც გამოიწვევს ადამინის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას და სამართლებრივი სახელმწიფოს რღვევას.

ხელისუფლების დანაწილების ერთგვარი ჩანასახი გვხვდება ჯერ კიდევ რესპუბლიკურ რომში. ბერძენი ისტორიკოსი პოლიბიუსი (ჩვ.წ.აღ-მდე 201-120 წ) თავის ნაშრომებში წერდა, რომ „ხელისუფლება ამ სახელმწიფოში დაყოფილია იმგვარად, რომ მისმა შემადგენელმა არცერთმა ნაწილმა არ გადააჭარბოს სხვას“.<sup>2</sup>

ხელისუფლების დანაწილების ჩანასახის შემდგომ, განვითარდა მისი კლასიკური თეორია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჯონ ლოკმა (მე-17 საუკუნის მიწურულს) და მონტესკიემ (მე-18 საუკუნის დასაწყისში) ძირითადი შინაარსი

<sup>1</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2017წელი.გვ.71.

<sup>2</sup> დემეტრაშვილი ა. კობახიძე ი. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი. 2010 წელი.გვ.182.

ხელისუფლების სამი ძირითადი ფუნქციის განმახორციელებელ შტოდ დაყოფას, მათ შორის განსხვავებას, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას და წონასწორობას ეფუძვნება.<sup>3</sup>

ჯონ ლოკის მიერ მოხდა ხელისუფლების ორი შტოს გამოყოფა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი. იგი ფიქრობდა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ხორციელდება არა მუდმივად, არამედ პერიოდულად, საჭიროებისამებრ. თუმცა, მის მიერ შექმნილი კანონები მოქმედებენ განუწყვეტლივ, შესაბამისად, საჭიროა კანონების აღსრულების კონტროლი და ამისთვის, მისი აზრით საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლება. მოგვიანებით უკვე (მე-18 საუკუნის დასაწყისში) შარლ ლუი დე მონტესკიემ მოახერხა სასამართლო ხელისუფლების მესამე შტოდ გამოყოფა. იგი მიიჩნევდა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში არის სამი სახის ხელისუფლება : საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო.

„საკანონმდებლო ხელისუფლება მთელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ ვინაიდან ხალხს უშუალოდ არ შეუძლია განახორციელოს საკანონმდებლო ხელისუფლება საჭიროა საკანონმდებლო წარმომადგენლობა“.<sup>4</sup>

მონტესკიეს აზრით, ხელისუფლების მესამე შტო სასამართლო ხელისუფლება დამსჯელობითი უფლებამოსილების გამო ყველაზე მეტად ემუქრება მოქალაქეთა თავისუფლებას. ამიტომ ეს ხელისუფლება უნდა ჩაბარდეს არა მუდმივად დანიშნულ არამედ ხალხისაგან გარკვეული ვადით არჩეულ პირს.<sup>5</sup>

შემდგომში სრული და თანმიმდევრული საკანონმდებლო განვითარება ამ სისტემამ, პირველად ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში ჰპოვა ასახვა, რომლის შემქმნელებმაც აღნიშნული სისტემა დაამკვიდრეს, რათა არ

<sup>3</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2016წელი.გვ.81.

<sup>4</sup> ლორია ვ. „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“ გამომცემლობა ცოტნე. თბილისი. 2000წელი.გვ.8

<sup>5</sup> იქვე. გვ. 8

განმეორებულო ხალხის კეთილდღეობის საზიანოდ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ისტორიული მაგალითები. მისი მეშვეობით მათ განიზრახეს მოეწყოთ სახელმწიფო ხელისუფლება ისე, რომ მისი განშტოებები დამოუკიდებელი ყოფილიყვნენ ერთმანეთისაგან და თითოეულ მათგანს ერთმანეთის გავლენების შესაძლებლობა ჰქონოდა.<sup>6</sup> როდესა საუბარი გვაქვს ხალხის მიერ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში აქტიურ მონაწილეობაზე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიაზე. დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მოქალაქეები იღებდნენ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში, ირჩევდნენ ხელისუფლებებს, მონაწილეობას იღებდნენ რეფერენდუმებში, ჰყვებიან სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, ასევე ჰყვებიან მათ უფლება დაიცვან საკუთარი უფლებები და იბრძოლონ სამართლიანი სასამართლოს მეშვეობით დარღვეული უფლებების აღსადგენად.

ამიტომ, როდესაც დემოკრატიაზე ვლაპარაკობთ, „მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ისეთი სახელმწიფოები, სადაც ხელისუფლება დანაწილებულია და არაა მოქცეული ერთი პიროვნების ხელში“.<sup>7</sup>

რა თქმა უნდა, ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ რომელიმე ხელისუფლების შტოს მიერ ძალაუფლების მითვისება ნიშნავს იმას, რომ ძალაუფლებას ხელში იღებს ან იღებენ კონკრეტული ადამიანები, რომლებიც საკუთარი შეხედულებებისამერ წარმართავენ სახელისუფლო ძალაუფლებას, რაც სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობილებას დიდ დარტყმას აყენებს.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპს გააჩნია პრევენციული ღონისძიების ფუნქციაც, როდესაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი განმტკიცებულია

---

<sup>6</sup> რუხაძე ზ. „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ აიწყო და დაკაბადონდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ბათუმი. 1999წელი.გვ.104.

<sup>7</sup> ლორია ვ. „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2004წელი.გვ.5

სახელმწიფოს უმაღლეს კანონში „კონსტიტუციაში“ ჩნდება მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული პრინციპი განუხრელად უნდა იყოს დაცული და გამყარებული სახელმწიფოს ცალკეული შტოებისა და თითოეული მოქალაქის მიერ. სამწუხაროდ სახელმწიფოს ცალკეული შტოები თავისი ბუნებიდან გამომდინარე მისწრაფვის იმისაკენ, რომ მოიხვეჭონ მეტი გავლენა და განახორციელონ კონტროლის ხვას სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებზე.

ძალაუფლების მისწრაფების შეჩერება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ამ სურვილის მქონე პირი ერთდროულად არ არის ისიც, ვინც ამ სურვილის მიღწევისათვის საჭირო საშუალებებს აკონტროლებს. ამრიგად ძალაუფლების მსურველის ამბიცია გაკონტროლებულია იმით, რომ მას არ აქვს საშუალება იმოქმედოს ყოველგვარი დაფიქრების ან უფლებამოსილების შემდგომში გადაცემის გარეშე და იმიტომაც, რომ იგი არ განსაზღვრავს მოქმედების შედეგს<sup>8</sup>.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლების დანაწილების მექანიზმი სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუვისა და მასზე კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი საშვალებაა, რომლის თანმიმდევრული განხორცილება და მისი დაცვა გამორიცხავს ერთი პირისა თუ ერთი კონსტიტუციური ორგანოს ხელში მთელი ძალაუფლების თავმოყრას.<sup>9</sup>

ხელისუფლების გაწონასწორებისა და შებოჭვის საკითხი მნიშვნელოვანია თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზაზე, მის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ის, რომ არსებობს საშიშროება რომელიმე მმართველმა კლასმა ანდაც ლეგიტიმურად არჩეულმა სახელისუფლო უმრავლესობამ, არ მოახდინოს სახელისუფლო ზედმეტი უფლებამოსილებების ერთხელში

---

<sup>8</sup> შაიო ა. „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003წელი.გვ.90.

<sup>9</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016წელი.გვ.216

კონსოლიდაცია. „უმრავლესობის მართველობა, თუ ის შებოჭილი არ არის სამართლითა და თავისუფლების იდეით, შესაძლოა ტირანიად ჩამოყალიბდეს“.<sup>10</sup>

როდესაც საუბარი გვაქვს ხელისუფლების დანაწილებაზე და მათი უფლემოსილებების გამიჯვნაზე აუცილებლად უნდა შევხვით ამ საკითხის სამართლებრივ განმარტებას, კერძოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წელს იმსჯელა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მიმართულია სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაციისა და ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილებისკენ. სახელმწიფო ხელისუფლების ამგვარი ინსტიტუციონალიზაციის პირობებში შესაძლებელი ხდება სახელისუფლებლო ძალაუფლების უზურპირების პრევენცია, უზენაესი და წარუვალი კონსტიტუციური ღირებულების – ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ხელისუფლების ამგვარი ფორმით განხორციელება უზრუნველყოფს შესაბამის კონსტიტუციურ ორგანოებს შორის პასუხისმგებლობის რაციონალურ დანაწილებას. ხელისუფლების დანაწილების პირობებში შესაძლებელი ხდება სახელმწიფო გადაწყვეტილებების მაქსიმალურად კვალიფიციურად, ობიექტურად და მიუკერძოებლად მიღება“.<sup>11</sup> რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმასთან დაგავშირებით, რომ სახელმწიფომ განიცადოს ის ღირებულებები, რა დემოკრატიულ მართველობას ახასიათებს, სადაც დაცულია როგორც, სახელმწიფო ინსტიტუტების უფლებამოსილებები, ისე ხალხის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები.

<sup>10</sup> ხუბუა გ. „სამართლის თეორია“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი. 2004წელი.გვ.97

<sup>11</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“. N3/4/641, 29 სექტემბერი, 2016 წელი.

## 1.2 საკანონმდებლო ხელისუფლება

საკანონმდებლო ხელისუფლების როლი ხელისუფლების დანაწილების პრინციპში უმნიშვნელოვანესია იქიდან გამომდინარე, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას ანუ პარლამენტს თავისი ფუნქციური გაგებით შეუძლია განახორციელოს პირდაპირი კონტროლი სხვა ხელისუფლების განშტოებებზე. „პარლამენტის პირველი ჩანასახი ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში შეინიშნება. თანამედროვე პარლამენტარიზმის სამშობლოდ ითვლება ინგლისი, სადაც XVIII საუკუნეში სამეფო ხელისუფლება 1215 წლის ვიდრონიის დიდი ქარტიის საფუძველზე შეიზღუდა მსხვილი ფეოდელების, უმაღლესი სამღვდელოებისა და საგრაფოების კრების მიერ.“<sup>12</sup>

„აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწორედ ხალხის ნებისა და პარლამენტის ნების ერთიანობაში გამოიხატება წარმომადგენლობითი დემოკრატიის იდეის ძირითადი აზრი“.<sup>13</sup> ასევე „პარლამენტის სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოქმედებს ერის სახელით და მოიცავს ქვეყანაში მცხოვრები ერებისა და ხალხების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებს.“<sup>14</sup> აღნიშნული მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მოიაზრებს, როგორც ყველაზე სახალხო ინსტიტუტად. „ორგანო რომელიც უშუალოდ განასახიერებს სახალხო სუვერენიტეტის პრინციპს არის პარლამენტი“.<sup>15</sup> მას ხალხის სუვერენიტეტის განუყოფლობის და განუხრელობის იდეიდან გამომდინარე ხელისუფლების დანაწილების მექანიზმში უპირატესი ადგილი უკავია და მინიჭებული აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის უფლება.

---

<sup>12</sup> რუხაძე ზ. „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ აიწყო და დაკაბადონდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ბათუმი. 1999წელი.გვ.258.

<sup>13</sup> დემეტრაშვილი ა. კობახიძე ი. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „ინოვაცია“ თბილისი. 2011წელი.გვ.198.

<sup>14</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2016წელი.გვ.271.

<sup>15</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016წელი.გვ.238.

პარლამენტის საქმიანობა და მისი ამოცანები ხშირ შემთხვევაში ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. „მთავრობა საკანონმდებლო ინიციატივით მეშვეობით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კანონშემოქმედებით პროცესზე, ისევე როგორც პარლამენტი მთავრობის გაკონტროლების უფლების განხორციელებით ზემოქმედებს მთავრობის მიერ აღმასრულებელი ფუნქციების განხორციელებაზე“<sup>16</sup>

თავისი ფუნქციათა შესასრულებლად პარლამენტი აღჭურვილია შესაბამისი უფლებამოსილებებით, რომლის ფარგლებიც დამოუკიდებელი კონკრეტული სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემაზე. კანონშემოქმედება პარლამენტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა და შეიძლება ითქვას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესიც, ამასთანვე ის ამტკიცებს მთავრობას და უცხადებს ნდობას, ამტკიცებს ბიუჯეტს, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსს და ასევე მას აკისრია უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, რომლებიც მას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების პროცესში.

ჯონ ლოკის თქმით, პარლამენტს გააჩნია პოლიტიკური ძალაუფლება, პოლიტიკურ ძალაუფლებაში იგი მოიაზრებდა კანონების შექმნის უფლებას, რომლებიც ზეგავლენას მოახდენენ საკუთრების მოწესრიგებაზე და მის დაცვაზე, ასევე მისი თქმით პოლიტიკური ძალაუფლების საშუალებით შესაძლებელი იქნება ისეთი კანონების მიღება, რომლებიც ყოველთვის იზრუნებს საზოგადოებრივი სიკეთის შესაქმნელად.<sup>17</sup>

ამავდროულად პარლამენტის კომპეტენციები კონსტიტუციით განისაზღვრება, თუმცა როგორც წესია ხშირ შემთხვევაში მისი დანკონკრეტება ხდება პარლამენტის რეგლამენტში, მასში მოწესრიგებულია პარლამენტის შიდა და გარკვეულ წილად

<sup>16</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016წელი.გვ.233.

<sup>17</sup> ინტერნეტ მასალა. ჯონ ლოკი „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მართთველობაზე“  
იხ. <<https://burusi.wordpress.com/2013/07/25/lock/>>[13.04.2019].

გარე ურთიერთობების განმსაზღვრელი ნორმები.<sup>18</sup> აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მხოლოდ პარკამენტის ანუ საკანონმდებლო ორგანოს პრეროგატივას წამოადგენს აღნიშნული ნორმატიული აქტის „რეგლამენტის“ მიღება და მასში ცვილებების შეტანა. აღნიშნულის უფლება მას აძლევს შესაძლებლობას თავად განსაზღვროს საკუთარი მოქედების არეალი და ამასთანვე შეიძლება ეს გავიგოთ, თვითშეზღუდვის ერთ-ერთ საშუალებად, მაგრამ თვით შეზღუდვა ზოგ შემთხვევაში არ წამოადგენს პოლიტიკურ დღის წესრიგს და კონკრეტული პოლიტიკური კლასი ცდილობს შეზღუდვის ნაცვლად გაიფართოოს ძალაუფლების მოქმედების არეალი და გავლენა მოახდინოს სახელმწიფო სახელისუფლებო ინსტიტუტებზე. როდესაც კონსტიტუციის ქვედა ნორმატიული აქტის საფუძველზე შეიძლება მოიპოვოს პარლამენტმა შეუსაბამოდ დიდი ძალაუფლება, რომელიც არღვევს დემოკრატიის პრინციპებსა და ადამინის ფუნდამენტურ უფლებებს, მისი დაცვის სადარაჯოზე დგას საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი.

პარლამენტის დამოუკიდებლობის ერთ-ერთ განმსაზღვრელად მიჩნეულია, ის რომ პარლამენტი იკრიბება განსაზღვრული წესის შესაბამისად და მას არ ჭირდება სახელმწიფო მეთაურის მიერ სპეციალური მოწვევა, როგორც ეს პარლამენტარიზმის ადრეულ პერიოდში ხდებოდა. დღეს განვითარებული პრაქტიკის შესაბამისად, პარლამენტი შეიძლება შეიკრიბოს საკუთარი ინიციატივით, როგორც ეს ხდება მაგალითად იტალიასა და ნიდერლანდებში. ასევე არის კიდევ ერთი განვითარებული პრაქტიკა, როდესაც პარლამენტი არა თავისი ინიციატივით, არმედ კონსტიტუციით განსაზღვრულ სასესიო პერიოდში შეიძლება შეიკრიბოს.<sup>19</sup>

---

<sup>18</sup> ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი — დემეტრაშვილი ა. „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“ სახელმძღვანელო მომზადებული და გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით“ თბილისი 2005წელი.გვ.204

<sup>19</sup> გეგენავა დ. ქანთარია ბ. ცანავა ლ. თევზაძე თ. მაჭრამე ზ. ჯავახიშვილი პ. ერქვანია თ. პაპაშვილი თ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ მესამე გამოცემა. გამომცემლობა დავიტ ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2015წელი.გვ.19.



### 1.3 აღმასრულებელი ხელისუფლება

„სახელმწიფო ორგანოთა ერთობლიობა ქმნის ერთ მთლიან სისტემას. სახელმწიფო ორგანოთა ერთიანობა განპირობებულია მათი სოციალური არსითა და იმ საერთო ნიშნებით, რომლებიც განსაზღვრავენ საერთო მიზანს - ქვეყნის კეთილდღეობისა და აყვავების მიღწევას. სახელმწიფო ორგანოთა სისტემის ერთობა განპირობებულია საერთო სახელმწიფოებრივი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისათვის მოქმედებისა და ურთიერთზემოქმედების ერთიანობით“.<sup>20</sup> სწორედ აღნიშნული ერთობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლება. მას გააჩნია ისეთი უფლებამოსილებები და მოქმედების სივრცე, რომლითაც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადამიანის უფლებების დაცვაზე და ქვეყნის დემოკრატიულობის კურსის განსაზღვრაზე. „აღმასრულებელი ხელისუფლება მოვალეა დაიცვას და ხორცი შეასხას კანონს“.<sup>21</sup> საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

„საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას“<sup>22</sup>. აღნიშნული ჩანაწერი წამოადგენს კონსტიტუციურ-ფუნქციურ გარანტიას და ზუსტად განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითად კომპეტენციას და ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას ხელისუფლების დანაწილებისა და უფლებამოსილებების გამიჯნის პროცესში. „მთავრობა ანგარიშვალდებული და

<sup>20</sup> რუხაძე ზ. „ საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ აიწყო და დაკაბადონდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ბათუმი.1999წელი.გვ.94

<sup>21</sup> შაიო ა. „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003წელი.გვ.211.

<sup>22</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 54. ნაწილი 1.

პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე”.<sup>23</sup> აქედან გამომდინარე თვალნათლივ ჩანს ხელისუფლების კონტროლის მაგალითი, როდესაც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო აქტში პირდაპირ არის გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმი. აღმასულებელი ხელისუფლების ყოველი მოქმედება უნდა იქნეს გაკონტროლებული საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ამისათვის არსებობს შიდა სახელწიფოებრივი ბერკეტები, რომლებიც მიუთითებს ქვეყნის განვითარებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს სტატუსზე.

„იქ სადაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ორ სხვადასხვა ორგანოს უპყრია ხელთ, საკანონმდებლო ორგანო ცდილობს აღმასრულებელ ხელისუფლებას იმდენი ძალაუფლება არ მიანდოს, რომ მან პირველის დამოუკიდებლობა შელახოს”.<sup>24</sup> აქედან გამომდინარე უკვე აშკარა ხდება რატო არის საჭირო საკანონმდებლო ორგანოს გააჩნდეს მაკონტროლებელი ორგანოს ფუნქციები და კონტროლის ბერკეტები.

ხელისუფლების საკონსტიტუციო დანაწილების შემთხვევაში, თავისთავად იგულისხმება, რომ კანონებს იღებს პარლამენტი, როგორც არჩევითი ორგანო, ხოლო მიღებული კანონების აღსულებას უზრუნველყოფს აღმასულებელი ხელისუფლება. აღმასულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს მთავრობა პრემიერ მინისტრისა და მინისტრების შემადგენლობით. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები ხშირ შემთხვევებში განისაზღვრება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო აქტით და ასევე სტრუქტურული ნორმატიული აქტების მეშვეობით. ისევე როგორც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მქონე ქვეყნებში, საქართველოშიც მთავრობის კომპეტენციები

---

<sup>23</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 54.ნაწილი 2.

<sup>24</sup> შაიო ა. „ხელისუფლების თვითმუხლუდვა“ გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003წელი.გვ.132.

განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული მასალით: საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის დადგენილებით.<sup>25</sup>

აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონის აღსრულებით, ამასთანვე მას ფართო განმკარგველითი ფუნქციები აქვს შეთვისებული, რომლებსაც ნორმატიული თუ ინდივიდუალური აქტების გამოცემით ახორციელებს. მისი ბუნებითი მახასიათებელი თვისება სახლემწიფოს განმკარგველ და ყველაზე აქტიური როლის მქონე ხელისუფლებად წარმოგვიდგენს. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა მრავალფეროვანია იგი წარმოგვიდგება სამინისტროების, უწყებებით, დაქვემდებარებული სტრუქტურებით რეგიონალურ თუ ადგილობრივ დონეზე.<sup>26</sup>

აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთნება ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები რომლებიც ქვეყნის განვითარებასა და ადამინის ფუნდამენტური უფლებების დაცვას ემსახურება, ეს იქნება თავდაცვითი, საპოლიციო, საგანმანათლებლო, ჯანდაცვითი თუ ეკონომიკური. იგი ვალდებული ყოველივე იღონოს იმსათვის, რომ მისი პრაქტიკული საქმიანობა განახორციელოს კეთილსინდისიერად და ყოვლისმომცველად.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი ან რეგიონული მთავრობა უფრო ეფექტურია ვიდრე ცენტრალური მთავრობა. ეს განპირობებულია იქიდან, რომ ხალხს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ მათი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ აუცილებლობა წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის მექანიზმების არსებობა საკანონმდებლო ორგანოს

---

<sup>25</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2017წელი.გვ.405

<sup>26</sup> იხ; აქვე.405

ხელში. მოქალაქეები რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს წევრს ირჩევენ მათ უნდა ქონდეთ განცდა და მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ არჩეული პირი, მოახერხებს აღმასრულებელი ხელისუფლები უმაღლესი ორგანოს მთავრობის კონტროლს.

მთავრობა, როგორც ასეთი ფუნქციონირებს, როგორც კოლეგიური სათათბირო ორგანო, რომელ კოლეგიურ ორგანოსაც პერემიე-მინისტრი ხემძღვანელობს, აღმასრულებელ მართველობაში რამდენიმე მინისტრს ცალკეული სფეროების მიხედვით აქვთ მართვა გამგეობა დანაწილებული.<sup>27</sup> აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საპარლამენტო მართველობის ქვეყნებში ეს იქნება საპარლამენტო მონარქია თუ საპარლამენტო რესპუბლიკა მთავრობას ორივე შემთხვევაში უჭირავს ცენტრალური ადგილი და ასრულებს აღმასრულებელ უფლებამოსილებებს.<sup>28</sup> ამავდროულად, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ იგი ერევა საპარლამენტო საქმიანობაში, კანონის ინიცირების კონსტიტუციური უფლების საფუძველზე და ახდენს კონკრეტული კანონის ინიცირებას, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ინიცირებული კანონპროექტი აპრიორი არ არის იმისა, რომ პარლამენტი მას დაეთანხმება და აქცევს ნორმატიულ აქტად, აღნიშნულიც წარმოადგენს პარლამენტის ანუ საკანონმდებლო ორგანოს ავსოლიტურ დისკრეციას და ხაზს უსვამს მის დომინანტურ მდგომარეობას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე.

---

<sup>27</sup> გეგენავა დ. ქანთარია ბ. ცანავა ლ. თევზაძე თ. მაჭარაძე ზ. ჯავახიშვილი პ. ერქვანია თ. პაპაშვილი თ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ მესამე გამოცემა. გამომცემლობა დავიტ ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2015წელი.გვ.247.

<sup>28</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016წელი.გვ.327

## 1.4 სასამართლო ხელისუფლება

ხელისუფლების დანაწილების თეორის შესაბამისად საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სასამართლო ხელისუფლებას. „მოსამართლე დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება“<sup>29</sup> აქედან გამომდინარე ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხი, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობითა და მიუკერძოებლობით განისაზღვრება“.<sup>30</sup>

სასამართლო ხელისუფლება უნდა სარგებლობდეს მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხითა და მაღალი ავტონომიური უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობით. განსაკუთრებით უნდა ღინიშნოს სასამართლოს როლი და მნიშვნელობა ხელისუფლებიდან კონტროლის პროცესში, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება გააკონტოლოს, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების აქტების კონსტიტუციურობის საკითხი.<sup>31</sup> აღნიშნული კონტროლის საჭიროა იმისათვის, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებამ არ მიიღონ ისეთი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც დაარვევს დემოკრატიულ წესწყობილებას და შეუსაბამო იქნება მთავარ კანონთან, აქედან გამომდინარე მსგავს კონტოლს ენიჭება ძალზე დიდი მნიშვნელობა სახელმწიფოს დემოკრატიულად განვითარებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, სასამართლო ხელისუფლება გარკვეულ წილად გავლენას განიცდის დანარჩენი სახელისუფლებლო განშტოებებისაგან. მაგალითად

<sup>29</sup> დემეტრაშვილი ა. კობახიძე თ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „ინოვაცია“ თბილისი. 2011წელი.გვ.336.

<sup>30</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2016წელი.გვ.457

<sup>31</sup> რუხაძე ზ. „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ აიწყო და დაკაბადონდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ბათუმი. 1999წელი.გვ.108.

საკანონმდებლო ხელისუფლება კანონების მიღების გზით გავლენას ახდენს სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციაზე, ქმნის სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების სამართლებრივ ბაზას და როგორც წესი მონაწილეობას იღებს მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესებაში. აღმასრულებელი ხელისუფლება უზრუნველყოფს მის მატერიალ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და ასევე ხშირ შემთხვევაში მასაც გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ გავლენა მოახდინოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე.<sup>32</sup> სასამართლო ხელისუფლებაზე აღნიშნული ზეგავლენა არ ნიშნავს იმას რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა ილახება, ან საფრთხე ექმნება ჯეროვანი და მიუკერძოებელ მართლმსაჯულების განხორციელებას. მსგავსი ზეგავლენა სასამართლო ხელისუფლებაზე აღქმული უნდა იყოს, როგორც ხელისუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების „ურთიერთკონტროლის“ მექანიზმი.

არსებობს ერთგავრი მიდგომა იტალიაში, როდესაც ზემოთ აღნიშნული საკითხებზე გადაწყვეტილებას მოსამართლეები იღებენ მოსამართლეთა თვითმართველობის მეშვეობით. ზოგ შემთხვევაში კი მსგავს საკითხებთან დაკავშირებით ხელისუფლების განშტოებებს მჭიდრო თანამშრომლობა მოეთხოვებათ, მაგალთად ამერიკის შეერთებულ შტატებში, როდესაც პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს წევრს ნიშნავს აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ კანდიდატი სენატმა მოიწონოს.<sup>33</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები მართლმსაჯულებას ახორციელებენ, ისინი მაინც განსხვავდებიან სპეციფიური საქმიანობის ასფექტებით. უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოებში მოქმედებს საერთო იურისდიქციის სასამართლოები და სპეციალიზებული სასამართლოები. საერთო იურისდიქციის სასამართლოები

---

<sup>32</sup> რუხაძე ზ. „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ აიწყო და დაკაბადონდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ბათუმი. 1999წელი.გვ.346.

<sup>33</sup> შაიო ა. „ხელისუფლების თვითმუხლუდვა“ გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003.119.

განიხილავენ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისიხლის სამართლის კატეგორიის სამქეებს, ხოლო სპეციალიზებულ სასამართლოთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების გზით კონსტიტუციური კონტროლის ორგანოდ გვევლინება. „საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება განსაკუთრებული სასამართლოს-საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ“.<sup>34</sup> აღნიშნულ მოდელს იყენებენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა თურქეთი, ესპანეთი გერმანია, პოსტსოციალისტური ქვეყნები და მათ შორის საქართველოც.

„სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაციის და ფუნქციონირების ძირითადი სამართლებრივი საფუძველი, როგორც წესი კონსტიტუციაა“.<sup>35</sup> დღეს არსებული კონსტიტუციების უმრავლესობა შეიცავენ ისეთ თავებს სადაც პირდაპირ არის მითითება სასამართლოს ფორმირებისა და უფლებამოსილების შესახებ, ასვე გვხვდება კონსტიტუციები სადაც მხოლოდ მათი მოწესრიგება ხდება პრინციპების დონეზე, ხოლო უკვე მისი დაკონკრეტება სპეციალურ კანონში, რაღა თქმა უნდა, რომელიც კონსტიტუციის სადამფუძნებლო პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნისნული სპეციალური კანონის ნორმა არაკონსტიტუციურად შეიძლება იქნეს ცნობილი.

ასევე არსებობს საკონსტიტუციო კონტროლთან დაგავშირებით განსხვავებული მიდგომა, როდესაც საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლება ეძლევა საერთო იურისდიქციის სასამართლოების ყველა როგორც. აღნიშნული მოდელი მოქმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებსში და სევე სხვა ლათინო

---

<sup>34</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016წელი.გვ.432.

<sup>35</sup> გეგენავა დ. ქანთარია ბ. ცანავა ლ. თევზაძე თ. მაჭრაძე ზ. ჯავახიშვილი პ. ერქვანია თ. პაპაშვილი თ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ მესამე გამოცემა. გამომცემლობა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2015წელი.გვ.263

ამერიკულ ქვეყნებში.

„კონსტიტუციურ ევროპის ქვეყნებში, ხელისუფლების დანაწილების პრონციპიდან გამომდინარე აღიარებულია, რომ სასამართლო ხელისუფლებას არ შეუძლია განახორციელოს კანონშემოქმედითი საქმიანობა“.<sup>36</sup> აღნიშნული განპირობებულია იქიდან, რომ ხელისუფლება დაყოფილია და მოქმედებს საკანონმდებლო ორგანოს პრიმატის პრინციპი, როდესაც საკანონმდებლო უფლებამოსილების პრეოგატივა მხოლოდ პარლამენტს გააჩნია. ხოლო ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად ჩვენ ხვდებით ისეთ მიდგომას, სადაც სამართალი არის ის ყოველივე რასაც მოსამართლე მიიჩნევს. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლო შედარებით დამოუკლიდებელ ხელისუფლებას წარმოადგენს ვიდრე ეს კონსტიტუციურ ევროპის ქვეყნებშია. ეს ერთი შეხედვით შეიძლება დადებით მოვლენად ჩავთვალოთ, მაგრამ როდესაც ვისაუბროთ კანონის უზენაესობაზე და სამართლის პრიმატზე, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ სამართალი უნდა შექმნას ლეგიტიმურმა წყარომ. არ უნდა გვქონდეს იმის განცდა, რომ სამართალი კონკრეტული ინდივიდის ხელში იყოს, თავად ქმნიდეს და თავადვე განმარტავდეს მას.

---

<sup>36</sup> ხუბუა გ. „სამართლის თეორია“ გამომცემლობა „მერიდიანი“. 2004წელი.გვ. 132.



## თავი II . ურთიერთ კონტროლის არსი

### 2.1 ურთიერთკონტროლის აუცილებლობა

ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, საჭიროება შიექმნა იმისა, რომ ხელისუფლება დანაწილებული შტოები აღჭურვილიყვნენ ისეთი უფლებებით, რომლებითაც განახოცილებდნენ ურთიეთ გინტროლისა და ბალანსის დაცვას, რადგან ძლაუფლების ერთ ხელში თავმოყრა არ მომხდარიყო, ანდაც რომელიმე განშტოებაზე გაეწია საზედამხედველო კონტროლი, რათა ჯეროვნად შეესრულებინა მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

იქიდან გამომდინარე, რომ ყოველ ხელისუფლების რგოლს დაკისრებულ ვალდებულებეთან ერთად გააჩნია განსაზღვრული ძალაუფლება. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით „ძალაუფლების გაკონტროლება მხოლოდ ძალაუფლებით შეიძლება,”<sup>37</sup> აქედან გამომდინარე უკვე ცალსახდა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძალაუფლება არ წარმოადგენს შეუზღუდავს. მისი შეზღუდვა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად მოახდენს კონკრეტული შტო ძალის დემონსტრირებას. ხელისუფლების ჭარბი ძალაუფლების გამოვლინება იმთავითვე, გულისხმობს იმას, რომ საფრთხე ექმნება ადამიანის ფუნდამენტურ უფლების დაცვას. საყურადღებოა ის გარემოება, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება არსებითად უნდა შეიზღუდოს ინდივიდის ძირითადი თავისუფლებების სასარგებლოდ,”<sup>38</sup> სწორედ ეს პრინციპი წარმოადგენს თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის საფუძველს.

---

<sup>37</sup> შაიო ა. „ხელისუფლების თვითშეზღუდვა” გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003წელი.გვ.Xi.

<sup>38</sup> ბეგიაშვილი მ. ბოსტოდანაშვილი დ. ლეჟავა დ. ლოსაბერიძე დ. მკალიშვილი მ. ნოზაძე გ. ნოზაძე ს. „დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა” გამოცემულია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანულ ასოციაციის საქართველოს ფილიალის „თბილისის პოექტა ბიუროს” მხარდაჭერით. თბილისი 2007წელი.გვ.231.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ხელისუფლების განაწილება სრულებითაც არ ამოიწურება სახელმწიფო ორგანოთა შორის ფუნქციების გამიჯვნით“,<sup>39</sup> არამედ მასში მოიაზრება ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთზემოქმედებასა და ურთიერთშეზღუდვის მექანიზმებიც.

ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების გამიჯვნის თეორია სამი უმნიშვნელოვანესი პრინციპისაგან შედგება ესენია ფუნქციური გამიჯვნა, ინსტიტუციური გამიჯვნა, შეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმები. ფუნქციური გამიჯვნა ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლების ერთი შტო სხვა სახელისუფლო შტოს ფუნქციებში არ ერეოდეს და დიფერენცირებული იყოს მისგან. ინსტიტუციური გამიჯვნა ნიშნავს იმას, რომ თითოეულ შტოს შესაბამისი ორგანოები წარმოადგენენ და მათი უფლებამოსილებები არ უნდა კვეთდნენ ერთმანეთს. რაც შეხება შეკავებისა და გაწონასწორების სისტემის მიხედვით, ხელისუფლების შტოებს შორის არა მხოლოდ ძალაუფლება უნდა იყოს გადანაწილებული, არამედ თითოეულ მათგანს უნდა ქონდეს შესაძლებლობა აკონტროლოს დანარჩენი ხელისუფლების განშტოებები, აქედან გამომდინარე მათ უნდა გააჩნდეთ იმის შესაძლებლობა, რომ საჭიროების შემთხვევაში აამოქმედონ კონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმები.<sup>40</sup>

ხელისუფლების ორგანოების ფუნქციურ კონტროლს ყოველთვის ექნება გამართლება, მეტიც იგი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი ძალაუფლების სუბიექტის მიერ მეორე ძალაუფლების სუბიექტის საქმიანობაში უხეშ ჩარევად. სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად შესაძლებელია გაიზარდოს ცალკეული ხელისუფლების ფუნქციონირების ფარგლები და მან შეიძინოს დამატებითი,

---

<sup>39</sup> რუხაძე ზ. „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ აიწყო და დაკაბადონდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ბათუმი. 1999წელი.გვ.104.

<sup>40</sup> გეგენავა დ. ქანთარია ბ. ცანავა ლ. თევზაძე თ. მაჭრაძე ზ. ჯავახიშვილი პ. ერქვანია თ. პაპაშვილი თ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ მესამე გამოცემა. გამომცემლობა დავიტ ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2015წელი.გვ.9-10.

როგორც ვალდებულებები ისე უფლებებიც, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ინსტიტუციური გაძლიერება. „მედისონს იმედი ქონდა, რომ ხელისუფლების ძირითადი ორგანოები ისე იმუშავებდნენ, რომ მათი გაძლიერება მხოლოდ ერთმანეთის ხარჯზე იქნებოდა შესაძლებელი“<sup>41</sup> სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი ორგანოს განვითარება და ფუნქციური გაძლიერება იწვევს ახალი საკონტროლო ბერკეტების შექმნასა და საკანონმდებლო დონეზე დახვეწას, რომლითაც უნდა იქნეს აღჭურვილი მაკონტროლებელი ფუნქციის მატარებელი ორგანო.

თანამედროვე სახელმწიფოების მაგალითზე, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, როდესაც სახელმწიფოს ინსტიტუტები ვითარდებიან საჭირო ხდება ახალი საკონტროლო ფუნქციებით მათი აღჭურვა, რათა ეფექტურად მოხდეს ხელისუფლების დანაწილებისა და კონტროლის რეალიზაცია, რაც საბოლოო ჯამში ადამინის ფუნდამენტური უფლებების დაცვას ემსახურება. „ხელისუფლება ისწრაფის თვითგაფართოებისა და თავისი ყველგან და ყველგანში გაძლიერებისაკენ“<sup>42</sup> აქედნ გამომდინარეობს გიორგი ხუბუას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ადამინის თავისუფლების ისტორია არის სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვისა და კონტროლის ისტორია“<sup>43</sup> წარმოადგენს მეტად საყურადღებო ფაქტს, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშული მოსაზრება ხაზს უსვამს თუ სად გადის ხელისუფლების ძალაუფლების ზღვარი და როდის საჭიროებს იგი შეზღუდვას.

---

<sup>41</sup> შაიო ა. „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003წელი.გვ.92.

<sup>42</sup> დემეტრაშვილი ა. კობახიძე ი. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „რაიზი“ თბილისი 2014წელი.გვ.149

<sup>43</sup> ხუბუა გ. „სამართლის თეორია“ გამომცემლობა „მერიდიანი“. 2004წელი.გვ.96.

## 2.2 ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლის მექანიზმები საქართველოში

უკვე გვქონდა საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ დემოკრატიული და სამართლებრივი საყელმწიფო იყოფა სამ სახელისუფლებლო შტოდ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებად. სახელმწიფო მაქსიმალურად უნდა ცდილობდეს კონსტიტუციით და დაქვემდებარებული ნორმატიული აქტებით მოაწესრიგოს თითოეული სახელისუფლებლო შტოს უფლებამოსილებები და მათ შორის ურთიერთობები, რადგან დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოსათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენ ის, რომ ძალაუფლება რიალურად აკავებდეს ძალაუფლებას.

„მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ, ზოგადად, დემოკრატიისა და კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთ მთავარ გარანტორს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპი წარმოადგენს“,<sup>44</sup> რაც თავის თავში ურთიერთკონტროლის მექანიზმებსაც მოიაზრებს. საქართველოს პარლამენტი „კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას“,<sup>45</sup> ამისათვის პარლამენტში იქმნება კომიტეტები. კომიტეტების კონტროლის ობიექტს არ წარმოადგენს მხოლოდ მთავრობის საქმიანობა, არამედ იგი პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლსაც ახორციელებს.

საქართველო კონსტიტუციის 42-ე მუხლის და პარლამენტის რეგლამენტის 61-

<sup>44</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ N1/10/703. 2017წელი. 13 ოქტომბერი.

<sup>45</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 36. ნაწილი 1.

ე მუხლის შესაბამისად პარლამენტში იქმნება დროებითი საგამომიებო კომისია „სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების გამოკვლევისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით“<sup>46</sup>. აღნიშნული ერთგვარ დროებით საკონტროლო ბერკეტს წარმოადგენს, რომელიც კონკრეტული მიზნის მისაღწევად იქმნება. დროებითი საგამომიებო კომისიის დასკვნა არ უნდა განვიხილოთ, როგორც უტყუარ და აუცილებლად აღსრულებად დოკუმენტად. მეტიც მას გააჩნია სარეკომენდაციო ხასითი შესაბამისი უწყებებისათვის. დასკვნაში მოყვანილი არგუმენტირებული მსჯელობა შემდგომში უნდა გახდეს საგამომიებო ორგანოს საქმიანობის მიმართულება თუ, რაღა თქმა უნდა, მასში დანაშაულის ნიშნები აღმოჩნდება. ხშირ შემთხვევაში საგამომიებო კომისიის დასკვნა შეიცავს პოლიტიკურ ნიშნებს, რაც შეიძლება პოლიტიკური სპეკულაციების საგნად იქცეს. აქედან გამომდინარე, მან შეიძლება დაკარგოს ის ღირებულება, რაც ზოგადად საგამომიებო კომისიის დასკვნას უნდა ექონდეს რეალურად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიის დასკვნის დადებითად შეფასებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, ის რომ კომისიის წევრებს გააჩნდეთ მაღალი საპარლამენტო ცხოვრების მნიშვნელობითი თვითშეგნება.

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს კონტროლის ისეთ მექანიზმებს როგორებიცაა პარლამენტის წევრის კითხვა და ინტერპელაცია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმს ქართულ სინამდვილეში. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების

---

<sup>46</sup> „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 06/12/2018. მუხლი 61. ნაწილი 1.

ორგანოს და ასევე სახელმწიფო დაწესებულებას.<sup>47</sup> აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კონსტიტუცია იმპერატიულად განსაზღვრავს პარლამენტის წევრის კითხვაზე დროული და სრული პასუხის გაცემის სავალდებულოებას. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი განსაზღვრავს, რომ პარლამენტის წევრის კითხვაზე პასუხი წერილობით უნდა გაეცეს. ხოლო რაც შეეხება ინტერპელაცია აღნიშნული წარმოადგენს ნოვაციას, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების მონაპოვარია და მაში გამოხატულია საპარლამენტო მართველობის სულისკვეთება, რომელმაც შედეგი უკვე გამოიღო და ხშირი ფუნქციური გამოყენებადობა შეიძინა, რაც რა თქმა უნდა, მხოლოდ დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის წევრთა არანაკლებ შვიდკაციან ჯგუფს უფლება აქვს ინტერპელაციის წესით შეკითხვით მიმართოს მთავრობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ სხვა ორგანოს, მთავრობის წევრს, რომელიც ვალდებულია უპასუხოს დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე.<sup>48</sup> საყურადსაღებია ის გარემოება, რომ დასმულ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს პარლამენტის სხდომაზე და არა უბრალო წერილობითი ფორმით, ისე როგორც პარლამენტის წევრის კითხვას. ეს ალბათ განპირობებულია იქიდან გამომდინარე, რომ კითხვას სავამს არა რომელიმე ცალკული დეპუტატი, არამედ კითხვის ავტორი გამოდის კოლექტიურის სახით, რაც მაღალ ინტერესზე მიუთითებს. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული საპარლამენტო მექანიზმის გამოყენებაც ხდება პოლიტიკური სპეკულაციებისა და პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად, აღნიშნული ისე ეუნდა გავიგოთ, რომ იგი წარმოადგენს საპარლამენტო ცხოვრების ნაწილს და შეიძლება ითქვას აუცილებლობასაც. ამშემთხვევაშიც პოლიტიკოსების საპარლამენტო მნიშვნელობის თვითშეგნებაზე უნდა მოხდეს ხაზგასმა, რადგან აღნიშნული ბერკეტი პარლამენტმა რაციონალურად გამოიყენოს.

---

<sup>47</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 43. ნაწილი 1.

<sup>48</sup> იხ: იქვე. მუხლი 43. ნაწილი 2.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტებისა და კომისიების სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ კითხვებს და წარმოადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. აღნიშნული კონტროლის მექანიზმის მნიშვნელობაზე მეტყველებს, ის გარემოება რომ მისი გამოყენება რეალურ საპარლამენტო ცხოვრებაში ძალიან ხშირად ხდება, შეიძლება ითქვას საპარლამენტო საქმიანობის ყოველდღიურობად იქცა. რაც რაღა თქმა უნდა, პარლამენტის მხრიდან მის აქტიურ კონტროლის განხორციელებაზე მიუთითებს.

საქართველოს კონსტიტუცია ასევე განსაზღვრავს კონსტიტუციის დარღვევის ან ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის საფუძვლით საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის წევრის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გენერალური პროკურორის, გენერალური აუდიტორის ან ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს,<sup>49</sup> აღნიშნული საკონტროლო მექანიზმი ბუნებით შეგვიძლია ხისტ მექანიზმად მივიჩნიოთ, იქიდან გამომდინარე რომ იმპიჩმენტის საშუალებით ხდება სუბიექტის უფლებამოსილებებიდან განთავისუფლება და უფრო მეტიც შესაძლოა განთავისუფლებული პირის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს. იმპიჩმენტის სუბიექტებს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, ხოლო მისი მოწესრიგება დეტალურად ხდება პარლამენტის რეგლამენტით. საგულისხმოა ის გარემოება, რომ იმპიჩმენტის წესის გამოყენება პარლამენტის ექსკლუზიური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებით არ ხდება, არამედ ამ მოქმედებებში ერთ-ერთი ძირითადი როლი უჭირავს საკონსტიტუციო სასამართლოს. პარლამენტს შეუძლია აღძრას იმპიჩმენტის საკითხი, მაგრამ ის

---

<sup>49</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 48. ნაწილი 1.

ვალდებულია წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა მან იმსჯელოს და მოამზადოს დასკვნა იმის შესახებ არის თუ არა იმპიჩმენტ დაქვემდებარებული პირის მიერ რაიმე ქმედება განხორციელებული, რომელიც არ შეესაბამება კონსტიტუციას.<sup>50</sup> მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის წარდგენის შემდგომ ხდება პარლამენტის მიერ პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა, პირის თანამდებობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი ჩარევა გამომდინარეობს იქიდან, რომ იგი წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალურ ორგანოს და მისი ფუნქციაა ხელისუფლების შტოების საქმიანობა და პერონალური პირების მოქმედებების სისწორე დაადგინოს კონსტიტუციასთან მიმართებაში.

საპარლამენტო მართველობისთვის დამახასიათებელი, ის რომ პრემიერ-მინისტრი მთავრობის საქმიანობისთვის ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. აღნიშნული გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლში და განსაზღვრავს, რომ წელიწადში ერთხელ პრემიერ-მინისტრი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სამთავრობო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე პარლამენტის მოთხოვნით იგი ვალდებულია წარუდგინოს სამთავრობო პროგრამის ცალკეული ნაწილის შესრულების მიმდინარეობის ანგარიში. აღნიშნული წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომელშიც ნათლადაა ნაჩვენები თუ რა ადგილი უჭირავს პარლამენტს და რა ადგილი აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელისუფლების დანაწილების პროცესში.

რაც შეხება პარლამენტის მხრიდან მთავრობისათვის ნდობა/უნდობლობის გამოცხადებას, აღნიშნული მოწესრიგებული კონსტიტუციის 56-57-ე და აგრეთვე პარლამენტის რეგლამენტის 160-161 მუხლებში. პარლამენტი საქართველოს მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-

---

<sup>50</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2017წელი.გვ.326.



მინისტრის გადადგომიდან ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარდგენილ საქართველოს მთავრობას. ასევე პარლამენტი უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს საქართველოს მთავრობას. უნდობლობის საკითხის აღძვრასთან ერთად პარლამენტს ერთდროულად წარედგინება ინიციატორების მიერ წამოყენებული პრემიერმინისტრობის კანდიდატი, საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა.<sup>51</sup> ნდობა/უნდობლობობა წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის კლასიკურ საშუალებას. აღნიშნულ შემთხვევაში პარლამენტი 100% - ით განსაზღვავს აღმსრულებელი ხელისუფლების კურსს--გამოუცხადებს ნდობას ისეთ გუნდს, რომელიც მათთან პოლიტიკურ ჰარმონიაში იქნება. საქართველოს პოლიტიკურ რეალობიდან და საპარლამენტო მართველობის ქართული იდეიდან გამომდინარე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფოში პოლიტიკურ კლიმატს ქმნის საპარლამენტო უმრავლესობა, აქედან გამომდინარე აღმასრულებელი ხელისუფლებაც წარმოადგენს იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობა. აქ ჩნდება სრულიად ლოგიკური კითხვა თუ საკანონმდებლო ხელისუფლების უმრავლესობა და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთიდაიგივე პოლიტიკურ გაერთიანების ნაწილს წარმოადგენს, გვაქვს თუ არა საქმე ხელისუფლების დანაწილების კლასიკურ მაგალითთან?! რა თქმა უნდა, არა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დანაწილება ფაკულტატიური არ არის, ეს იმას ნიშნავს რომ ხელისუფლება განაწილებული უნდა იყოს ისე, რომ გადაწყვეტილებების მიღება დამოკიდებული არ იყოს კონკრეტული პოლიტიკური კლასის ნებაზე. რთული წარმოსადგენია, რომ საკანონმდებლო უმრავლესობა და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთიდაიმავე პოლიტიკურ გაერთიანებას

---

<sup>51</sup> „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 06/12/2018. მუხლი 56-57

წარმოადგენდნენ და ერთმანეთის დამოუკიდებლად იღებდნენ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს. მეტიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი პრაქტიკის დამკვიდრება წარმოადგენს პოლიტიკური მიზნების განხორციელების საშუალებას და რომელიც ხელისუფლების დანაწილების თეორიით ინიღბება.

„სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები“.<sup>52</sup> სასამართლოებს ეკისრებათ უმნიშვნელოვანესი როლი ხელისუფლების კონტროლის განხორციელებაში. აქედან გამომდინარე ერთგვარ საპარლამენტო საქმიანობაში ჩარევად შეიძლება შევაფასოთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როდესაც იგი იხილავს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს. აღსანიშნავი ის გარემოება, რომ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი, ხოლო პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩვივრებას. სწორედ პარლამენტის გადაწყვეტილებაზე მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს თავისი არსით პარლამენტის საქმიანობაზე ზედამხედველობას. დეპუტატის უფლებამოსილების ცნობა ან ვადაზე ადრე შეწყვეტა წარმოადგენს პარლამენტის ერთ-ერთ საქმიანობას, რომელიც შეიძლება ვიწრო გაგებით შიდა საპარლამენტო საქმიანობად განვიხილოთ.

სასამართლოს ზოგადი დახასიათების დროს უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე რომ „სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსათვის“,<sup>53</sup> ფიზიკური პირისა და იურიდიული

<sup>52</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 59. ნაწილი 1.

<sup>53</sup> დემეტრაშვილი ა. კობახიძე ო. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „რაიზი“ თბილისი 2011წელი.გვ..330

პირისათვის. „სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას”.<sup>54</sup> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს გადაწყვეტილების ფარგლებმა შესაძლოა იმოქმედოს ხელისუფლების განშტოებების მოქმედებებზე. სასამართლო აღჭურვილია ისეთი საკონტროლო უფლებამოილებებით, რომელმაც უნდა გამორიცხოს ხელისუფლების უზურპაცია. საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს კონტროლს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს ისე აღმასრულებელი ხელისუფლების მიერე გამოცელი აქტებზე და ამომწებს მათ შესაბამისობას კონსტიტუციასთან. აღნიშნული წარმოადგენს პირდაპირი კონტროლის უფლებას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიური უფლებას განეკუთვნება. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ხელისუფლების დანაწილებისა და კონტროლის პროცეში უაღრესად დიდია რაზე ცალკე თავებში გვენება საუბარი.

## 2.3 ხელისუფლების უზურპაციის დაუმჯებლობა

როდესაც დემოკრატიულ სახელმწიფოზე ვსაუბრობთ, იმთავითვე იგულისხმება, რომ ხელისუფლება დანაწილებულია სამ შტოდ: საკანონმდებლო ხელისუფლება, აღმასრულებელი ხელისუფლება და სასამართლო ხელისუფლება, რაც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მიმართულია სახელმწიფო ძალაუფლების კონცენტრაციისა და ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილებისკენ. ხელისუფლების თითოეული შტოს კომპეტენცია ისე უნდა იყოს მოწესრიგებული კონსტიტუციით, რომ ხელისუფლების არც ერთ შტოს არ უნდა შეეძლოს ხელისუფლების მეორე შტოს ფუნქციების მითვისება და ასევე

---

<sup>54</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი” გამომცემლობა „იურისტების სამყარო”. თბილისი. 2016წელი.გვ. 335

არაპროპორციული კონტროლის მექანიზმების გამოყენება, „რადგან ჭარბი ძალაუფლება მისი ბოროტად, თვითნებურად გამოყენების თავისთავადი წინაპირობაა“<sup>55</sup> რაც აუცილებლად დაარღვევს გაწონასწორებისა და ურთიერთ კონტროლის სიტემას.

სახელმწიფო შედგება ცალკეული დარგობრივი ინსტიტუტებით, სამინისტროებით, რეგიონალური ადმინისტრაციული ერთეულებით და სხვა ისეთი ინსტიტუტებისაგან, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს მართვის მექანიზმებს. აქედან გამომდინარე სახელმწიფო ორგანოების „მართვის სირთულიდან მოდის იმის იძულება და აუცილებლობა, რომ ხელისუფლება დანაწილდეს,“<sup>56</sup> სწორედ დანაწილებული ხელისუფლების საქმიანობის შედეგად ხდება დემოკრატიის ჩამოყალიბება. ხელისუფლების ერთ რომელიმე ორგანოს ან თანამდებობის პირის ხელში თავმოყრა, რა თქმა უნდა, წარმოშობს იმის შესაძლებლობას რომ ეს ძალაუფლება ბოროტად იქნება გამოყენებული. ასვე როდესაც ხელისუფლების დანაწილებაზე ვსაბრობთ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხელიუფლება უნდა იქნეს განაწილებული არა მხოლოდ იმიტომ რომ ერთი პირის ხელში არ აღმოჩნდეს არამედ იმიტომაც, რომ სახელმწიფო ორგანოების მართვა გამგეობა მეტად რთულ საქმიანობას წარმოადგენს და ყველა რგოლს სპეციფიკური დარგობრივი მართვა ჭირდება, რადგან თითოეულმა ორგანომ შეძლოს ჯეროვანი ფუნქციონირება, ამ მიდგომასთან დაკავშირებით ლიტერატურაში იშვიათად შევხვდებით მსჯელობას, რადგან ხელისუფლების დანაწილებას ყოველთვის უკავშირებენ მხოლოდ ძალაუფლების მიტაცებას და არა ორგანოების

---

<sup>55</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2016წელი.გვ.82.

<sup>56</sup> ზოიძე ბ. „საკონსტიტუციო წესრიგი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში“ გამომცემლობა „GTZ“. თბილისი 2007წელი.გვ.148.

ფუნქციონირების სირთულეს.

„თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ეფექტური და სამართლიანი მართვის წინა პირობაა შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება იმ ორგანოების მიერ, რომლებიც კომპეტენტური არიან თავიანთი კონსტიტუციური სტატუსით, ფუნქციითა და უფლებამოსილებებით“<sup>57</sup> აქედან გამოდინარე, რთულია წარმოდგენა იმისა რომ ერთმა რომელიმე ორგანო ან თანამდებობის პირმა, რომელსაც არ გააჩნია ბოროტი განზრახვა და არ აქვს განძრახული ძალაუფლების პირადი კეთილდღეობისათვის გამოყენება და იგი განწყობილია სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხის გაზრდისათვის, მან ეს მოახერხოს იმის ფონზე რომ ძალაუფლება მის ხელშია და ინსტიტუციურად იქვემდებარებს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ინსტიტუტებს. მნიშვნელობა არ აქვს ხელისუფლების დაყოფას, რომელი მხრიდან შევხედავთ ორივე უმნიშვნელოვანესია და პირველი არ გამორიცხავს მეორეს, უზურპაცია ყოველთვის ნიშნავს უარყოფითს.

---

<sup>57</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“. N3/4/641, 29 სექტემბერი, 2016 წელი

## თავი III. საკონსტიტუციო კონტროლის მიმოხილვა

### 3.1 საკონსტიტუციო კონტროლის ცნება

საკონსტიტუციო კონტროლი კონკრეტული სახელმწიფოს დამახასიათებელი ინდივიდუალური სამართლებრივი ინსტიტუტია. მისი მოწყობა და უფლებამოსილების ჩამოყალიბება თვითონ სახელმწიფოს ნებაზეა დამოკიდებული. საკონსტიტუციო კონტროლი მოწოდებულია დაიცვას შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუცია ანუ სახელმწიფოს ძირითადი კანონი და განახორციელოს ხელისუფლების დანაწილების პროცესში წარმოშობილი პრობლემების მოგვარება. მის ამოცანას წარმოადგენს ის რომ მოაწესრიგოს მოცემულ სახელმწიფოში მიღებული და ასევე გამოცემული ნებისმიერი სამართლებრივი აქტის შესაბამისობა კონსტიტუციის იმპერატიულ ნორმებთან. „კანონი რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ბათილია, ეს ბოჭავს როგორც სასამართლოს ისე ხელისუფლების სხვა შტოებსაც“.<sup>58</sup> საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო ბათილად აცხადებს შესაბამის სამართლებრივ აქტს ან მის კონკრეტულ ნაწილს.

კონსტიტუციური კონტროლის პირველი პრეცედენტი გაფორმდა აშშ-ში 1803 წელს საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“ როდესაც კონგრესის მიერ მიღებული კანონი დაუპირისპირდა კონსტიტუციას და უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონსტიტუცია არის „ქვეყნის ძირითადი და უზენაესი კანონი“ და რომ „საკანონმდებლო ხელისუფლების ნებისმიერი აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოკლებულია იურიდიულ ძალას“.<sup>59</sup> ხოლო კონტინენტური (რომანულ-გერმანული) სამართლის ქვეყნებში პირველი საკონსტიტუციო კონტროლის პრეცედენტი დაფიქსირდა 1920 წელს, რაც იურისტ-

<sup>58</sup> შაიო ა. „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003წელი.გვ.281.

<sup>59</sup> ო. მელქაძე. „კონსტიტუციონალიზმი“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი .2008 წელი.გვ.371.

მეცნიერ ჰანს კელზენის დამსახურებაა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ავსტრიის კონსტიტუციის შემუშავებაში.<sup>60</sup> მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელი კელზენმა ავსტრიისთვის შეიმუშავა, პირველი საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც მის საფუძველზე ჩამოყალიბდა, იყო არა ავსტრიაში, არამედ ჩეხოსლოვაკიაში. იგი 1920 წლის თებერვალში დაარსდა, ხოლო ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც მოქმედება რამდენიმე თვის შემდეგ, 1920 წლის ოტომბერში დაიწყო, ძალიან ჰგავდა ჩეხოსლოვაკიის სასამართლოს, მაგრამ მისგან განსხვავდებოდა შედარებით ფართო უფლებამოსილებით<sup>61</sup>.

იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლები ყველგან ერთნაირი არაა და იგი წარმოადგენს ეროვნული ხასიათის ინსტიტუტს, იგი მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება სხვადასხვა სახელმწიფოებში. „ყოველ სახელმწიფოში საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება ემყარება კონსტიტუციის უზენაესობის, მისი უმაღლესი იურიდიული ძალის პრინციპს. სწორედ ამ პრინციპის აღიარების საფუძველზე ხდება შესაძლებელი საკონსტიტუციო კონტროლის ეროვნული ინსტიტუტის დაფუძნება და განხორციელება“<sup>62</sup>. აღსანიშნავია „ის, რომ ყოველი კანონი, რომელიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, მაინც კონსტიტუციას ექვემდებარება,“<sup>63</sup> სწორედ კონსტიტუცია განსაზღვრავს იმ მაკონტროლებელ მექანიზმებს რითაც საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო ფუნქციონირებს და განსაზღვრავს იმ კანონის ბედს, რომელიც არ მოდის თანხვედრაში კონსტიტუციის იმპერატიულ ნორმებთან და პრინციპებთან.

სახელმწიფოში კონსტიტუციური კონტროლის განხორციელება ძირითადად

---

<sup>60</sup> შაიო ა. „ხელისუფლების თვითმუხლუდვა“ გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003წელი. გვ.285

<sup>61</sup> ჰ. შვარცი. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი გამომცემლობა სეზანი 2003წელი. გვ. 57.

<sup>62</sup> ფუტკარაძე ი. „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში“ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. 2010წელი.გვ.97

<sup>63</sup> შაიო ა. „ხელისუფლების თვითმუხლუდვა“ გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003წელი. გვ.280

დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან, ხელისუფლების დანაწილების პრინციტან, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს კომპეტენციათა განაწილებას ხელისუფლების ცალკეულ შტოთა შორის, ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმის არსებობას, აგრეთვე კომპეტენციათა გამიჯვნას ხელისუფლების ცალკეულ შტოთა სტრუქტურაში არსებულ კონკრეტულ სახელმწიფო ორგანოებს შორის.<sup>64</sup> „ხელისუფლების დანაწილების პრონციპის მნიშვნელოვანი კომპონენტი სახელმწიფო ხელისუფელის არა მხოლოდ ჰორიზონტალური, არამედ ვერტიკალურ დონეზე გამიჯვნა-გადანაწილებაა“<sup>65</sup> შესაბამისად საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს ენიჭებათ უფლებამოსილება კომპეტენციური დავები არა მხოლოდ ჰორიზონტალურ, არამედ ვერტიკალურ ჭრილშიც განიხილავენ. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება თუ რა როლი ენიჭება საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს ფართო გაგებით ხელისუფლების უფლებამოსილებების გამიჯვნაში ჰორიზონტალურ თუ ვერტიკალურს დონეზე. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს მსგავსი უფლებამოსილება ხშირ შემთხვევებში ენიჭება ფედერალურ სახელმწიფოებში, იქიდან გამომდინარე, რომ ფედერალურ სახელმწიფოში მოქმედებს საერთო ფედერალური უმაღლესი კანონი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ვერტიკალურ დონეზე მდგარი ფედერაციების კანონები და ნორმატიული აქტები.

როგორც ავღნიშნეთ საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, რაც ცალსახად „დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი ატრიბუტია“,“<sup>66</sup> აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი

---

<sup>64</sup> ჯ. ხეცურიანი. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“ ჟურნალური „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2006, N3, გვ. 31.

<sup>65</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2016წელი.გვ.439.

<sup>66</sup> იბ. იქვე.



ორგანო ხშირ შემთხვევებში განიხილავს კერძი პირებისაგან წადგენილ საჩივრებს. აღსანიშნავია ის გარემოება, კონტროლის განმახორციელებელი ორგანო განიხილავს საქმებს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპიდან გამომდინარე, ეს იმას ნიშნავს რომ გამოცემული აქტი, რომელიც ლახავს პირის კანონიერ ინტერესებს მოქალაქე შეუძლია გასაჩივროს აღნიშნულ ორგანოში და მოითხოვოს გასაჩივრებული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს აღნიშნული ფუნქცია, წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის მექანიზმს, რომ არ მოხდეს ისეთი მანკიერი აქტების აღსრულება, რომელიც ლახავს პირის კანონიერ ინტერესებს. აღნიშნული მექანიზმი ერთგვარ პრევენციულ საშვალეებას წარმოქმნის.

საერთო წესების თანახმად, საკონსტიტუციო კონტროლი გამოცალკევებული უნდა იყოს, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან,<sup>67</sup> აქედან გამომდინარე საჭირო ხდება, რომ აღნიშნული კონტროლი გადაეცეს საერთო სასამართლოებს, ანდაც შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო, რომელიც განახორციელებს კონტროლის. აღნიშნულიდან გამომდინარე განასხვავებენ კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების ორ მოდელს დეცენტრალიზებულს და ცენტრალიზებულს. „დეცენტრალიზებული მოდელი კონკრეტული კონტროლით ხასიათდება საერთო სასამართლოებში, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსამართლეებმა შესაძლოა ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის მოქმედება შეაჩერონ დავის კონკრეტული მხარის მიმართ, თუკი დადგინდა, რომ იგი წინააღმდეგობაში მოდის ამ მხარის კონსტიტუციურ რანგში აყვანილ უფლებასთან. ცენტრალიზებულ მოდელში საერთო სამართლის სისტემისგან გამიჯნული საკონსტიტუციო სასამართლო

---

<sup>67</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016წელი. გვ.430

აბსტრაქტულად განიხილავს ნორმების კონსტიტუციურობას. აბსტრაქტული კონტროლი შესაძლოა დახასიათდეს, როგორც „ნორმათკონტროლი“ ან პრევენციული კონტროლი“.<sup>68</sup> ამ ორი მოდელის შედარებისას შეგვიძლია ვისაბროთ მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე, მაგრამ ფაქტი ერთია ორივე მოდელი წარმატების ფუნქციონირებს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, მათი ინდივიდიდუალური წარმატება განპირობებულია გარკვეულ წილად ქვეყნის სამართლებრივ-პოლიტიკურ მოწყობაზე.

ძირითადად კონსტიტუციებში არ არის ამომწურავად განსაზღვრული საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანოების უფლებამოსილებების ჩამონათვალი და მათი უფლებამოსილებები შესაძლებელია კანონებითაც გაიზარდოს.<sup>69</sup> მაგალითად საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსილებებს და განსაზღვრავს, რომ დამატებითი უფლებამოსილებები და „მისი შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“.<sup>70</sup> ასევე მსგავს მიდგომას ავითარებს ესპანეთიც, რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს და სტატუსს განსაზღვრავს უმაღლეს კანონში ხოლო უფრო დეტალურად მათი განსაზღვრა ხდება 1979 წელს მიღებულ ორგანულ კანონში.<sup>71</sup> აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იქიდან გამომდინაე, რომ არ შეიძლება ყოველი დეტალი განსაზღვრული იყოს უმაღლეს კანონში, ამიტომ მისი

---

<sup>68</sup>ქობალია შ. „კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების შედარებითი ანალიზი მოდერნული კონსტიტუციის ნარკვევებიდან“ საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №2 / 2018წელი. გვ.114

<sup>69</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2017. გვ.455

<sup>70</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 59. ნაწილი 2.

<sup>71</sup> ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედატორი ო. მელქაძე „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ თბილისი 2008წელი. გვ.157

განსაზღვრა ხდება ორგანულ კანონებში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თუ სახელმწიფო მიიჩნევს საჭიროდ, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ფულებამოსილებები უნდა შეიზრუდოს ან გაიზარდოს, იგი ამის განხორციელებას ორგანული კანონში შედარებით მარტივად მოახერხებს, ვიდრე ქვეყნის უმაღლეს კანონში.

### 3.2 საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი სახეები

როგორც ავლნიშნეთ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ხელისუფლების დანაწილების პროცესში. ამასთანვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმები სხვადასხვა სახელმწიფოში არაერთგვაროვანია. კონკრეტული სახელმწიფო კონტროლის მასზე მორგებულ მოდელს ირჩევს, რაც დამოკიდებულია მის სამართლებრივ-პოლიტიკურ წესწყობილებაზე. საკონსტიტუციო კონტროლს გააჩნია ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები, რაც მის კლასიფიკაციის საშუალებას იძლევა.

საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს **წინასწარი** „პრევენციული“ ან **შემდგომი** „რეპრესიული“. წინასწარ საკონსტიტუციო კონტროლში იგულისხმება ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მიერ „აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ხდება მის ძალაში შესვლამდე, ხოლო შემდგომ კონტროლს ადგილი აქვს, როდესაც საკითხი ამათუ იმ აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე განიხილება ამ აქტის ძალაში შესვლის შემდგომ.“<sup>72</sup> წინასწარი კონტროლის მნიშვნელობა დიდია იქიდან გამომდინარე, რომ წინასწარ ხდება აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა და იმთავითვე ხდება პრევენციული ღონისძიების გატარება, რადგან არ იქნეს ისეთი აქტი მიღებული, რომელიც შემდგომი კონტროლის გამოყენებით მაინც გაუქმდება კონსტიტუციასთან შეუსაბამობის

<sup>72</sup> კახიანი გ. „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი“ (დისერტაცია), თსუ, 2008წელი. გვ. 26.

საფუძვლით. წინასწარი კონტროლი ძირითადად გამოიყენება რატიფიცირებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების მიმართ,<sup>73</sup> რათა წინასწარი შემოწმების შედეგად გამოვლინდეს შესაბამისობა კონსტიტუციასთან და მხოლოდ ამის შემდგომ მოხდეს რატიფიცირება.

კონტროლის განხორციელების ადგილის მიხედვით ჩვენ ვხვდებით ასევე **შინაგანი** და **გარეგანი** კონტროლს<sup>74</sup>. შინაგანი კონტროლი, რომელიც ერთგავრ პრევენციულ საშვალეებას წარმოადგენს, რათა არ მოხდეს გარეგანი კონტროლის განხორციელება, რომელსაც უკვე შემდგომი კონტროლი ეწოდება. შინაგანი კონტროლის ფუნქცია გააჩნია აქტის გამომცემ ორგანოს, ხოლო გარეგანი ანუ შემდგომი კონტროლის განხორციელების უფლება გააჩნია საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს. მაგალითი: საკანონმდებლო ორგანოში მზადდება კანონპროექტი, მომზადების დროს გადის მრავალ პროცედურას. შინაგანი კონტროლის შესამისად, საკანონმდებლო ორგანოს გააჩნია რიგი ბერკეტები იმისათვის, რომ იგი მოიყვანოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში თუ მიიღებს ისეთ აქტს, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის დებულებებს, გავრცელდება გარეგანი კონტროლი, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს მხრიდან.

შინაარსობრივი თვალსაზრისით ვხვდებით **ფორმალურ** და **მატერიალურ** საკონსტიტუციო კონტროლს სახეებს.<sup>75</sup> ფორმალურ კონტროლის დროს ხდება ნორმატიული აქტის მომზადებისა და გამოცემის წესების დაცვის შესაბამისობის დადგენა კონსტიტუციის ნორმებთან, ხოლო მატერიალური კონტროლის დროს ხდება აქტის მთლიანად ან კონკრეტული ნაწილის შინაარსობრივი თანხვედრის

---

<sup>73</sup> კონსტიტუციის 42-ე მუხლი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის შესახებ ჩატარებული კვლევის ანგარიში“ 2017.გვ.11.

იხ. <<https://article42.ge/media/1001447/2017/09/11/7b9cbee61f24e9585ff91d269c8ba8f8.pdf>>[25.05.2019].

<sup>74</sup> კახიანი გ. „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში:კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი“ (დისერტაცია), თსუ, 2008წელი.გვ.27;

<sup>75</sup> იხ იქვე.

დადგენა კონსტიტუციასთან. „კონსტიტუციის გადასინჯვაზე საკონსტიტუციო კონტროლის ორი ფორმა არსებობს, ფორმალური და მატერიალური ანუ შინაარსობრივი, პირველი მოიაზრებს გადასინჯვის პროცედურის შემოწმებას, ხოლო მეორე გულისხმობს კონკრეტულ შესწორებებზე კონსტიტუციასთან შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენას.“<sup>76</sup>

ჩვენ ხვდებით ასევე კონკრეტულ და აფსტრაქტულ საკონსტიტუციო კონტროლის მოდელებს. ანგლოსაქსული სამართლის სისტემის, საკონსტიტუციო კონტროლის ამერიკული მოდელის ქვეყნები ხასიათდება აფსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლის ფორმით.<sup>77</sup> მაგალითად „ამერიკის შეერთებული შტატებში საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებს ყველა დონის სასამართლო“.<sup>78</sup> აღნიშნულ სასამართლოებში „მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსამართლეებმა შესაძლოა გააუქმოს ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის მოქმედება“<sup>79</sup> რომელიც ლახას სასამართლო წარმოების რომელიმე მხარის ინტერესს და ამავდროულად შეუსაბამოა მთავარ კანონთან. ხოლო ცენტრალიზებულ მოდელში საერთო სამართლის სისტემისგან გამიჯნული საკონსტიტუციო სასამართლო აბსტრაქტულად განიხილავს ნორმების კონსტიტუციურობას. აბსტრაქტული საკონსტიტუციო კონტროლი „წარმოებს დავის არსებობის მიუხედავად“<sup>80</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ „ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხი დგება ისე, რომ მას კავშირი არ აქვს რომელიმე

---

<sup>76</sup> ლუაშვილი გ. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა” საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №2/2018წელი. გვ.95

<sup>77</sup> კახიანი გ. „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი” (დისერტაცია), თსუ, 2008წელი. გვ.28;

<sup>78</sup> ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ო. მელქაძე „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი” თბილისი 2008წელი. გვ.43

<sup>79</sup> ქობალია შ. „კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების შედარებითი ანალიზი მოდერნული კონსტიტუციის ნარკვევებიდან” საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №2 / 2018წელი. გვ.114

<sup>80</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი” გამომცემლობა „იურისტების სამყარო”. თბილისი. 2016წელი. გვ.436

წამოჭრილ დავასთან ან კონკრეტულ გარემოებებთან<sup>81</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის კონსტიტუციურობის შესაბამისობის დასადგენად შეიძლება მიემართოს აქტის გამოცემიდან ნებისმიერ დროს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საეთო იურისდიქციის სასამართლოები, რომლებიც კონკრეტულ საკონსტიტუციო კონტროლს ვერ ახორციელებენ, მათ აქვთ უფლება მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს წარდგინებით და ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა დააყენონ ექვევებში, ასეთ წარმდგენი სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს სამართალწარმოება მანამ სანამ საკონსტიტუციო სასამართლო არ იმსჯელებს მის აქტის კონსტიტუციურობაზე. აღნიშნული წარმოადგენს მეტად მოქნილ მექანიზმს და ხაზს უსვამს საერთო იურისდიქციის სასამართლოების როლს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაში.

„სამართლებრივი შედეგების მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლი შეიძლება იყოს საკონსულტაციო ან დამდგენი.“<sup>82</sup> საკონსულტაციო კონტროლის დროს ჩვეულებრივ ხდება აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება, მაგრამ კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს გადაწყვეტილება არ წამოადგენს სავალდებულოს შესასრულებლად, მაგრამ მისი იგნორირებაც არ არის სწორი მიდგომა. აქიდან გამომდინარე, საკონსულტაციო გადაწყვეტილება შეიძლება მომავალში გახდეს აქტის ბათილად გამოცხადების საბაზიც. მაგალითად როდესაც ხდება აქტის მიღება და ამ აქტთან დაგავშირებით კონტროლის ორგანომ გასცა კონსულტაცია, რომ აქტი არ შეესაბამებოდა კონსტიტუციის ნორმებს, გამომცემ ორგანოს უჩნდება მოქმედების თავისუფლება გამოასწოროს შეუსაბამო ნორმები ან არ გამოასწოროს და არ მოიყვანოს კონსტიტუციასთან თანხვედრაში. ასეთ შემთხვევაში გვექნება შემდგომი კონტროლი, რომლის დროსაც შესაძლებელია აღნიშნული რეკომენდაცია

---

<sup>81</sup> კახიანი გ. „ავსტრაქტული ნორმათკონროლის პრობლემები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში“ სამართლის ჟურნალი #1, 2009 წელი „თსუ“ გვ. 62

<sup>82</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩხილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2016წელი.გვ.454.

მოწინააღმდეგე მხარემ სათავისოდ გამოიყენოს და მოხდეს აქტის გაუქმება. რაც შეეხება დამდგენ საკონსტიტუციო კონტროლს, ამ შემთხვევაშიც საქმე გავქვეს აქტის კონსტიტუციურობის დადგენასთან, როდესაც კონტროლის ორგანი მიიღებს აქტის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იგი სავალდებულოა და ადგენს, რომ აღნიშნული აქტი აუცილებლად უნდა გაუქმდეს. ასევე დამდგენი ბუნება იმასაც გულისხმობს, რომ გაუქმებული აქტის იდენტური სახით მიღება დააუშვებელია და იგი პრევენციულ სახეს ატარებს.

ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების დანაწილებასა და „კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას და მისი დაცვის ფუნქციას ემსახურება საკონსტიტუციო კონტროლი“<sup>83</sup>. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს პოზიტიურ განვითარებაში. მის მნიშვნელობაზე მეტყველებს საკონსტიტუციო კონტროლის სახეების მრავალფეროვნება, აღნიშნული იძლევა იმის საშუალებას, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანომ შეძლოს ეფექტურად განახორციელოს სახელმწიფოს სამართლებრივ განვითარებაში მაკონტროლებელი ფუნქციების შესრულება.

### 3.3 ანგლოსაქსური და ევროპული საკონსტიტუციო კონტროლის თავისებურებანი

თანამედროვე სახელმწიფოების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო შტოებს შორის ხელისუფლების დანაწილების გარეშე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძალიან რთულია. ამასთანავე ხელისუფლების დანაწილების პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს საკონსტიტუციო კონტროლს. ამისათვის რიგი სახელმწიფოები ქმნიან ისეთ ინსტიტუტებს,

---

<sup>83</sup> რუხაძე ზ. „ საქართველოს კონსტიტუციური სამართალი” აიწყო და დაკაბადონდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ბათუმი. 1999.14.

რომელსაც აღჭურავენ შესაბამისი კონტროლის მექანიზმებით. სახელმწიფოებში ამგვარი სპეციალიზებული კონტროლის ორგანოების ნაირსახეობა მათი კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალიზებული ორგანო წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოებისაგან დაოუკიდებელ ინსტიტუტს. მსგავსი საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებად გვევლინებიან „ა) საკონსტიტუციო სასამართლები, ბ) კვაზი სასამართლო ორგანოები (საკონსტიტუციო საბჭო, საკონსტიტუციო რელიგიური საბჭო), გ) ზოგიერთ უზენაეს სასამართლოში დაფუძნებული სპეციულური საკონსტიტუციო პალატები“.<sup>84</sup>

**საკონსტიტუციო სასამართლო** წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ყველაზე გავრცელებულ ინსტიტუტს. მას „პოლიტიკის დამოუკიდებელ შემქმნელსაც უწოდებენ“.<sup>85</sup> რა თქმა უნდა, ამაში სახელმწიფოს სამართალი იგულისხმება. საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი უფლებამოსილებით აქვს შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობას სძენ ის უფლებამოსილებები, რაც საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში გააჩნია ესაა კონსტიტუციური ზედამხედველობის განხორციელება. დადებით მოვლენათ შეგვიძლია ჩავთვალოთ ის გარემოებაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ინდივიდუალურ საჩივრებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებით. ასვე მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას, აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს მეტ პასუხისმგებლობას ძენს, მაგრამ ამასთანავე უნდა ავლნიშნოთ, რომ გადაწყვეტილება ყოველთვის სრულყოფილი არ არის და

<sup>84</sup> კახიანი გ. „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში: კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი“ (დისერტაცია), თსუ, 2008, 42;

<sup>85</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016. 431



მასში შეიძლება ნაკლოვანებებიც დავინახოთ, რომელთანაც უპირობო შეფუების გზა რჩება მხოლოდ.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ჩვენ ვხვდებით ასევე საკონსტიტუციო კონტროლის კვაზ სასამართლო ორგანოებს, როგორცაა **საკონსტიტუციო საბჭო** და **საკონსტიტუციო რელიგიური საბჭო**. საკონსტიტუციო საბჭო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის განმახორცილებელ მეტად მოქნილ და ძლიერ ინსტიტუტს, რომელიც გვხვდება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი, სენეგალი, მოზამბიკაში და ა.შ. აღნიშნული ორგანოსათვის დამახასიათებელი და ჩემი აზრით, მეტად დასაფასებელ ფუნქციას წარმოადგენს პრევენციული ღონისძიებების გატარება. კერძოდ, როდესაც კანონის მიღება ხდება და იგი ეგზავნება პრეზიდენტს ხელმოსაწერად, მანამ სანამ პრეზიდენტი ხელს მოაწერს იგი მოწმდება საკონსტიტუციო საბჭოში კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად. ისეთ განვითარებულ სახელმწიფოში როგორცაა საფრანგეთი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მძლავრად აქვს გადგმული ფესვები საკონსტიტუციო კონტროლის როგანსო საკონსტიტუციო საბჭოს. „ორგანული კანონების პრომულგირებამდე კონტროლის შემოღებით საფრანგეთის კონსტიტუციამ დასაბამი მისცა პრევენციულ წინასწარი კონტროლის იდეას“<sup>86</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ საკონსტიტუციო საბჭოს აღნიშნული უფლებამოსილება უზრუნველყოფს იმას, რომ თავიდან იქნეს აცილებული ისეთი კანონების მიღება, რომელიც შემდგომში იქნება საკონსტიტუციო საბჭოს განხილვის საგანი და მას მოუწევს არაკონსტიტუციურობის საფუძვლიდ მისი გაუქმება. ასევე საფრანგეთის მაგალითზევე შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ საკონსტიტუციო საბჭოს აქვს უფლებამოსილება, რომლითაც იგი ერევა საკანონდებლო ხელისუფების საქმიანობაში და მას შეუძლია აკრძალოს ან ნებადართულად გამოაცხადოს

---

<sup>86</sup> ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ო. მელქაძე „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ თბილისი 2008წელი. გვ.336

ნორმატიული აქტის მომზადებაზე საპარლამენტო მუშაობა. აღნიშნული წარმოადგენს აშკარა მაგალითს იმისას თუ რა როლი ეკისრება საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ხელისუფლების კონტროლსა და შეზღუდვაში. ამავდროულად საკონსტიტუციო საბჭოს მიზნად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის რომ, მისთვის მიმართვის უფლების მქონე სუბიექტების რაოდენობა შეზუდულია. რაც შეეხება საკონსტიტუციო რელიგიური საბჭო, აღნიშნულიც წარმოადგენს თავისებურ საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს, რომელიც დამახასიათებელია რიგ მუსლიმურ ქვეყნებში და „მისი სამართლის პოლიტიკა ისლამიზმით არის განპირობებული.“<sup>87</sup> აღნიშნული საბჭო პარლამენტის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციასთან და ყურანთან შესაბამისობას ამოწმებს. აღნიშნული კონტროლის ორგანო ქვეყნისათვის დამახასიათებელი ეფექტიანობით მოქმედებს ირანში.

საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ საკონსტიტუციო კონტროლის მოდელებზე. მსოფლიოში საკონსტიტუციო კონტროლის სამის სახე არსებობს: ა) ანგლოსაქსური მოდელის რომელსაც ამერიკულ მოდელს უწოდებენ, ბ) ევროპული ანუ ასვტიული მოდელი, გ) შერეული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი.<sup>88</sup>

**ანგლოსაქსური საკონსტიტუციო კონტროლის** მოდელის ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლს ანხორციელებენ საერთო იურისდიქციის სასამართლოები. აღნიშნული მოდელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება შეუძლია საერთო იურისდიქციის სასამართლოს ყველა რგოლს. „სასამართლოებში, მართლმსაჯულების

<sup>87</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016წელი.გვ.451

<sup>88</sup> კახიანი გ. „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში:კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი“ (დისერტაცია), თსუ, 2008წელი.გვ. 46;

განხორციელების პროცესში მოსამართლეებმა შესაძლოა ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის მოქმედება შეაჩერონ დავის კონკრეტული მხარის მიმართ, თუკი დადგინდა, რომ იგი წინააღმდეგობაში მოდის ამ მხარის კონსტიტუციურ რანგში აყვანილ უფლებასთან.<sup>89</sup> მათვე შეუძლიათ განიხილონ შეჩერებული ქატის კონსტიტუციურობა. არსანიშნავია ისიც, რომ შეჩერებულ აქტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უზენაესი სასამართლო, აღნიშნული მოდელის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები.<sup>90</sup> აღნიშნულ მოდელს გააჩნია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი, კერძოდ იგი არასდროს არ ახორციელებს წინასწარ ანუ პრევენციულ საკონსტიტუციო კონტროლს, არამედ მისი კონტროლი ყოველთვის ატარებს შემდგომ კონტროლის სახეს. ზემოთ განხილული საკონსტიტუციო კონტროლი წარმოადგენს დეცენტრალიზებულ მოდელს.

**ევროპული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელის ქვეყნებში საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებენ „სპეციალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოები“,<sup>91</sup> „ანუ ის ორგანოები რომლებიც შექმნილნი არიან მხოლოდ საკონსტიტუციო კონტროლის განსახორციელებლად“.**<sup>92</sup> აღნიშნული საკონსტიტუციო მოდელის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ესპანეთი, იტალია

---

<sup>89</sup> ქობალია შ. „კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების შედარებითი ანალიზი მოდერნული კონსტიტუციის ნარკვევებიდან”

საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №2 / 2018წელი.გვ.114

<sup>90</sup> ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედატორი ო. მელქაძე „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი” თბილისი 2008. წელი.გვ.43

<sup>91</sup> კახიანი გ. „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში:კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი” (დისერტაცია), თსუ, 2008წელი.გვ.41-42-43;

<sup>92</sup> გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი” გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2016წელი.გვ.447.

და მათ შორის საქართველოც. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (შემდგომ – საკონსტიტუციო სასამართლო) არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას“.<sup>93</sup> „ცენტრალიზებულ მოდელში საერთო სამართლის სისტემისგან გამიჯნული საკონსტიტუციო სასამართლო, აბსტრაქტულად განიხილავს ნორმების კონსტიტუციურობას. აბსტრაქტული კონტროლი შესაძლოა დახასიათდეს როგორც „ნორმატკონტროლი“ ან პრევენციული კონტროლი“.<sup>94</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე ცალსახა ხდება, რომ საკონსტიტუციო კონტროლის გამნხორციელების მონოპოლს წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლო.

ხოლო რაც შეეხება შერეული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელს, აღნიშნული მოდელი წარმოადგენს კონკრეტული სახელმწიფოს შემოქმედებას, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავისი სამართლებრივ-პოლიტიკური მოწყობის გათვალისწინებით ცდილობენ შექმნან მათთვის იდიალურად მორგებული საკონსტიტუციო კონტროლის მოდელი. აღნიშნული მოდელის ქვეში ძირითადად იგულისხმება ის, რომ საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლოები ისე სპეციალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები. ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შერეულ მოდელში დომინანტური საკონსტიტუციო კონტროლის თვალსაზრისით არცერთი ორგანო არ იკვეთება.

ზემოთ მოყვანილი საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები გარკვეულ წილად თანაბარი დოზით ერევიან ხელისუფლების დანაწილებისა და კონტროლის

---

<sup>93</sup> „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 1 ნაწილი 1

<sup>94</sup> ქობალია შ. „კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების შედარებითი ანალიზი მოდერნული კონსტიტუციის ნარკვევებიდან“ საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №2 / 2018წელი.გვ.114

მექანიზმში. მათ გააჩნიათ უმთავრესი საერთო დამახასთებელი ფუნდამენტური ნიშანი, ისინი წამროადგენენ საკონსტიტუციო კონტროლის მოდელებს და მათი საერთო მიზანს წარმოადგენს სწორედ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების გზით ხელისუფლების დანაწილებისა და კონტროლის მექანიზმების მოქმედებაში მოყვანა.

## თავი IV. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ხელისუფლების დანაწილების პროცესში

### 4.1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და მისი კომპეტენცია

როგორც ავღნიშნეთ, საკონსტიტუციო კონტროლი ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტია და მისი უფლებამოსილების განსაზღვრა თვითონ სახელმწიფოს სუვერენულ ნებაზეა დამოკიდებული. „ყოველ სახელმწიფოში საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება ემყარება კონსტიტუციის უზენაესობის, მისი უმაღლესი იურიდიული ძალის პრინციპს“.<sup>95</sup> აქედან გამომდინარე საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ პირველად საქართველოს ისტორიაში დააფუძნა კონსტიტუციური კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზებული ორგანო საკონსტიტუციო სასამართლოს სახით.<sup>96</sup> რომელი სასამართლოც 1996 წელ შეიქმნა 9 მოსამართლის ფიცის დადების შემდგომ. „საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო“,<sup>97</sup> რომელსაც „უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილებისა და მისი კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელების, კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სახელმწიფოში სახელისუფლო სტაბილურობის განმტკიცებისათვის“<sup>98</sup>. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „საკონსტიტუციო სასამართლო ისევე საჭიროა დემოკრატიული

<sup>95</sup> ფუტკარაძე ი. „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში“ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. 2010წელი.გვ.97

<sup>96</sup> დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016წელი.გვ.439

<sup>97</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 59. ნაწილი 2.

<sup>98</sup> ინტერნეტ მასალა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი. იხ: <<http://constcourt.ge/ge/court/brief-history>>[30.05.2019].

სახელმწიფოსათვის, როგორც ადამიანისათვის ჰაერი“.<sup>99</sup> საქართველოს რეალობიდან გამომდინარე განვლილმა პერიოდმა დაგვანახა, რომ ამგვარი დამოუკიდებელი ინსტიტუტის შექმნა იყო უდიდესი ნაბიჯი დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების გზაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელობაზე და მის აქტიურ როლზე მიუთითებს 1996 წლიდან 2018 წლამდე განხილულ საქმეთა სტატისტიკა, კეძოდ აღნიშნულ პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა 1268 კონსტიტუციური სარჩელი და 80 -ამდე კონსტიტუციური წარდგინება.<sup>100</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს მოწყობა, კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციითა და 1996 წელის ორგანული კანონით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, ხოლო კონსტიტუციური სამართალწარმოების სხვა წესები განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით.<sup>101</sup> ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან და საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში მონაწილეობას იღებს თანაბრად ხელისუფლების შტოები, რაც ხელს უწყობს მათი კონტროლისა და ბალანსის შენარჩუნებას. „საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 10 წლის ვადით განწესებული 9 მოსამართლისაგან, რომელთაგან 3 მოსამართლეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 მოსამართლეს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 3 მოსამართლეს ნიშნავს უზენაესი სასამართლო“<sup>102</sup>

---

<sup>99</sup> ზომიე ბ. „საკონსტიტუციო წესრიგი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში“ გამომცემლობა „GTZ“. თბილისი 2007წელი.გვ.3.

<sup>100</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკა იხ: <<http://constcourt.ge/uploads/other/4/4256.docx>> [30.05.2019].

<sup>101</sup> „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 3. ნაწილი 1.

<sup>102</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 60. ნაწილი 2.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, იგი კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს: ა) ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით. ბ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს. გ) დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ. დ) საერთო სასამართლოს წარდგინების საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის საკითხს. ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის საკითხს. ვ) იხილავს პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს. ზ) იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას. ამასთანავე საკონსტიტუციო სასამართლოს ახორციელებს კონსტიტუციით ორგანული კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.<sup>103</sup>

## 4.2 საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი კონსტიტუციურ ორგანოებს შორის

ქვეყნის უმაღლესი კანონი განსაზღვრავს ხელისუფლების განშტოებათა უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, უწესებს გარკვეულ ცენზებსა და შეზღუდვებს, ასევე მიჯნავს ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციებს, ადგენს ურთიერთ კონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმებს. საქართველოს კონსტიტუცია ასევე განსაზღვრავს უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ ინტიტუტის

---

<sup>103</sup> „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 19.



უფლებამოსილებებს, რომელსაც ავალებს განახორცილოს საკონსტიტუციო კონტროლი. „საკონსტიტუციო სასამართლო არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი კონსტიტუციური ორგანო, რომელიც ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების და კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმების მეშვეობით. ამიტომ მისი ადგილი სასამართლო ხელისუფლებაშია“.<sup>104</sup> საქართველოს კონსტიტუციის 60-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო კონტროლის ქვეშ დავინახოთ ის მნიშვნელობა, რაც აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირებისათვის. კერძოდ საკონსტიტუციო კონტროლი თავისი არსიდან გამომდინარე ნიშნავს კონსტიტუციის დებულებებისა და იმპერატიული ბუნების მქონე ნორმების დაცვას სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან, რათა არ მოხდეს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს მიერ კონსტიტუციური დანაწესების დარღვევა და იმაზე მეტი უფლებამოსილებების ხელში აღება, რაც მას კონსტიტუცია განუსაზღვრავს.

განვიხილოთ მაგალითი, რომელიც შეეხება კონსტიტუციით აღიარებულ ადამინის უფლებების დაცვას, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ კომპეტენციას წარმოადგენს და რომელიც პირდაპირ კავშირშია ხელისუფლების კონტროლთან. კერძოდ, საკანონმდებლო ორგანომ შეიტანა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში და განსაზღვრა კონკრეტულ დანაშაულზე სიკვდილით დასჯის სანქცია. რა თქმა უნდა, აღნიშული ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლს სადაც ნათქვამია, რომ „სიკვდილით დასჯა აკრძალულია“,<sup>105</sup> აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო შესაბამისი პროცედურების დაცვით იმსჯელებს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი

<sup>104</sup> ხეცურიანი ჯ. „საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში“ (სტატია) საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი. გამოცემა №1 / 2018. გვ.32.

<sup>105</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 10

ცვლილების კონსტიტუციურობის საკითხზე. რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმებს აღნიშულ ცვლილებას, რაც თავისთავად გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის გზაზე საკანონმდებლო ორგანოზე კონტროლის განხორციელებას. ამ შემთხვევაში კონტროლის განხორციელება გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას და პრევენციის გატარებას, რადგან მსგავსი ცვლილება აღარ იქნეს მიღებული, რომლითაც ილახება ადამიანი კონსტიტუციით აღიარებულ ფუნდამენტურ უფლებები.

განვიხილოთ მეორე მაგალითი, რომელიც შეეხება ხელისუფლების უზურპაციას. საჭიროა ამისათვის გავიაზროთ ის, რომ ხელისუფლების უზურპაციაში იგულისხმება ძალაუფლების მითვისება კანონის დარღვევით რომელიმე ხელისუფლების განშტოების ანდაც ერთი პირის ან ჯგუფის მიერ, ასევე აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უზურპაცია ხდება ძალაუფლების გადამეტების გზით. მაგალითად საკანონმდებლო ორგანომ საერთოსასამართლოების შესახებ კანონში შეიტანა იმგვარი ცვლილებები, რომლებიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას და საფრთხე უქმნის მის სამართლებრივ გარანტიებს. აღნიშნული შესაძლოა შეფასდეს, როგორც ერთი ხელისუფლების შტოსაგან მეორე ხელისუფლების შტოს მიმართ კონსტიტუციასთან შეუსაბამო კონტროლის მექანიზმების შექნად, რომლის იდიასაც სასამართლო ხელისუფლების უზურპაცია წარმოადგენს ძალაუფლების გადამეტების გზით. აღნიშნულ მაგალითთან დაგავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება, როგორც ხელისუფლების დანაწილების მედროშედ. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი ფუნქციური ვალდებულებიდან და კონსტიტუციის უზენაესობის დაცვიდან გამომდინარე, შესწევს უნარი აღუდგეს წინ საკანონმდებლო ორგანოს ქმედებას.

საკონსტიტუციო კონტროლის შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სამწვეროვანი

სახით კონსტიტუციის დებულებები, სახელმწიფოს ინსტიტუტები და საკონსტიტუციო სასამართლო მძლავრი კონტროლის მექანიზმებით. კონსტიტუციის დებულებები წარმოადგენს ხელისუფლების ინსტიტუტებისათვის მოქმედების ერთგვარ „ნებადამრთველ და ამკრძალავ“ წყაროს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილის კონტროლის მექანიზმებით, წარმოადგენს ერთგვარ დარაჯს, რომელსაც ევალება კონსტიტუციის დებულებების დარღვევაზე კონტროლის განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში მონაწილეობას იღებს ხელისუფლების სამივე განშტოება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების რომელიმე განშტოებას აქვს შესაძლებლობა გავლენა მოხდინოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ საქმიანობაზე, რომლისვისაც იგი იქმნება. საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს ფორმირების შემდგომ მასსა და ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობა ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპით ხორციელდება. ხელისუფლების შტოთა გამიჯვნა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ იმგვარად, რომ მათი ურთიერთობა აკრძალული იყოს. პირიქით საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მათი ურთიერთობა „წარმოადგენს ასეთს, საკანონმდებლო ორგანო განსაზღვრავს სასამართლოს სტატუსს, აღმასრულებელი ხელისუფლება ქმნის პირობებს მისი საქმიანობისათვის, ხოლო თავის მხრივ სასამართლო აკონტროლებს მათ საქმიანობას.“<sup>106</sup>

ასევე საყურადსარებოა ის გარემოება, რომ შესაძლოა გაჩნდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიმართ ეჭვი, იმასთან დაგავშირებით თუ რამდენად ერთგულია კონსტიტუციის უზენაესობის მიმართ და მისი ყოველი სამოსამართლო ქმედება არის თუ არა ნაკარნახევი ქვეყნის უმაღლესი კანონის პრინციპებიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი

---

<sup>106</sup> ფუტკარაძე ი. „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში“ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. 2010წელი.გვ.122

განსაზღვრა „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეწყვეტის საფიქვლებს,“<sup>107</sup> მაგრამ აღნიშნული არ უნდა გავიგოთ ისე თითქო იგი წარმოადგენს მოსამართლეზე ზეწოლის ბერკეტებს. რაც შეეხება მოსამართლეზე რაიმე სახით კანონის დაცვით კონტროლის განხორციელებას ამ გვარ ბერკეტებს ქართული კანონდებლობა გამორიცხავს, მეტიც ორგანული კანონის 4 მუხლის შესაბამისად „საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი თავის მოვალეობათა შესრულებისას დამოუკიდებელია. იგი ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით“.<sup>108</sup> ამერიკის შეერთებული შტატების უზანაესი სასამართლოს მოსამართლე აღნიშვანდა „ჩვენც, როგორც მოსამართლეები, შებოჭილი ვართ კონსტიტუციით. მაგრამ, თუ რა წერია კონსტიტუციაში, ამას განვსაზღვრავთ ჩვენ (მოსამართლეები)“,<sup>109</sup> აქედან გამომდინარე განსაკუთრებული ყრადღება უნდა მიექცეს მოსამართლის პიროვნებას და მოსამართლედ გამწესების პროცედურების დახვეწას, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლეთა შერჩევას მაღალი სტანდარტის პროფესიული და პიროვნული კრიტერიუმების საფუძველზე. როგორც ავღნიშნეთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ემორჩილება კონტიტუციას და იგი როგორც აღმჭურველ ისე მბოჭავ წყაროს წარმოადგენ.

---

<sup>107</sup> „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 17.

<sup>108</sup> „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 14.1.

<sup>109</sup> ინტერნეტ მასალა. „საკონსტიტუციო სასამართლო როგორც მეოთხე ხელისუფლება (?): რისკები და გამოწვევები“

იხ: <<https://www.interpressnews.ge/ka/article/346406-sakonstitucio-sasamartlo-rogorc-meotxe-xelisuplebariskebi-da-gamocvevebi/>>[02.06.2019].

### 4.3 საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი და მისი გავლენა (პრაქტიკა) სამართლის პოლიტიკის განვითარებაზე

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი ბუნებით გახლავთ „ნეგატიური კანონმდებელი“<sup>110</sup>, აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ პოზიტიური კანონმდებლის მიერ მიღებული ესა თუ ის საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე შეიძლება შეფასებულ იქნას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად თუ ქვემდგომი ნორმა ეწინააღმდეგება ქვეყნის უმაღლეს კანონს.<sup>111</sup> „ნეგატიური კანონმდებლის ფუნქცია დღესდღეობით საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოთა კლასიკური მახასიათებელია“.<sup>112</sup> ნეგატიური კანონმდებლობის ფუნქციიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლოს კანონის მიღების ან კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება არ გააჩნია, თუმცა მას თავისუფლად შეუძლია გააუქმოს კანონი, სხვა სამართლებრივი აქტი თუ ისინი ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას. საკონსტიტუციო სასამართლო უდიდეს როლს ასრულებს სამართლის სისტემის სრულყოფის საქმეში „სწორედ იგი წარმოადგენს სამართალ განვითარების ყველაზე ხელშემწყობს დაწესებულებას ქვეყანაში“.<sup>113</sup> „საკონსტიტუციო სასამართლოები

---

<sup>110</sup> Faber f. The Austrian Constitutional Court – An Overview. ARTICLE 2008 . Page 51.

See: < <https://www.osce.org/odihr/37171?download=true>>[03.06.2019].

<sup>111</sup> ინტერნეტ მასალა. თავაძე ზ. სტატია . „საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება ნარკოპოლიტიკაზე არის ჩვენი გადაწყვეტილებები“

იხ: <<https://1tv.ge/news/zaza-tavadze-sakonstitucio-sasamartlos-shefaseba-narkopolitikaze-aris-chveni-gadawyvetilebebi/>>[02.06.2019].

<sup>112</sup> გეგენავა დ. ჯავახიშვილი პ. ლადო ჭანტურია საიუბილეო გამოცემა 55. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები“ გამომცემლობა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2018. წელი.გვ.119.

<sup>113</sup> ზოიძე ბ. „საკონსტიტუციო წესრიგი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში“ გამომცემლობა „GTZ“. თბილისი 2007.გვ.3.

თავიანთი გადაწყვეტილებებით იცავენ საკუთარ ინსტიტუციონალურ როლს და კონსტიტუციურ ხედვას საკანონმდებლო სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით<sup>114</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მიზანია სამართლებრივ სისტემაში არსებული ნორმების კონსტიტუციასთან მიმართებით დისონანსის აღმოფხვრა, ამით ის ხელს უწყობს სამართლებრივ სისტემებში ნორმების ჰარმონიულ თანაარსებობას.

როგორც ავლნიშნეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება ნეგატიური კანონმდებლის როლში. საყურადღებოა სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილება, რომელშიც მან განმარტა, რომ მას არ გააჩნია ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებამოსილება და რომ იგი ასრულებს კონსტიტუციით გარანტირებულ ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას.<sup>115</sup> როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობს გასაჩივრებულ ნორმატიულ აქტს ან მის ნაწილს, აქ ჩნდება აქტის გამომცემ ორგანოსათვის პოზიტიური ვალდებულება მოაწესრიგოს არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ან მისი ნაწილის რეგულირების სფერო, იმ გვარი ახალი ცვლილების შეტანის გზით, რომელსაც არ ექნება ძველი რედაქციის შინაარსი, რაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობლი.<sup>116</sup> აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების პრევენციულ ბუნებაზეც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა ზოგ შემთხვევებში თავისთავად გულისხმობს საპრევენციო ბერკეტის ამოქმედებას. მაგალითად წარდგინების შემთხვევაში, „თუ

---

<sup>114</sup> Nathan J. Julian G. Oxford University Press and New York University School of Law. „Constitutional courts and political uncertainty: Constitutional ruptures and the rule of judges“ journals. The Author 2017 Page.835.

See: < <https://academic.oup.com/icon/article/14/4/817/2927936>>[03.06.2019].

<sup>115</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე - ლალი ლაზარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმე №3/6/642, 10 ნოემბრი, 2016

<sup>116</sup> „[საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ](#)“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 25.4.

საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის ნორმატიული აქტი, რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ<sup>117</sup>. პრევენციული ბუნება იკვეთება იმაში, რომ სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას და არ უშვებს იმის აღბათობას, საქმის გადასაწყვეტად გამოიყენოს ნორმა რომლის კონსტიტუციურობის საკითხი ეჭვქვეშ დგას. მისი გამოყენება არ გამოყენების საკითხი ცხადი ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.

ჩვენ ზოგადად ვისაუბრეთ საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიურ კანონმდებლის ფუნქციაზე და მის როლზე სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს განვიხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომელი გადაწყვეტილებებიც საქართველოს რიალობიდან გამომდინარე აქტიურ განხილვის საგანს წარმოადგენდა და საზოგადოებაში ბადებდა გარკვეულ კითხვებს და ერთმანეთისაგან განხვავებულ პოზიციებს. საქართველო საკონსტიტუციო სასამართლო 2015 წლის გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეკისრება ვალდებულება იმსჯელოს კონკრეტულ სასჯელთან დაკავშირებით, იმ აუცილებელ შემთხვევაში, როდესაც სასჯელი იწვევს ადამინის პატივისა და ღირსების შელახვას და იგი არაპროპორციულია ჩადენილ ქმედებასთან მიმართებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენდა სიახლეს,

---

<sup>117</sup> „[საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ](#)“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 19.2.

სადაც სასამართლომ იმსჯელა ნარკოტიკული დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის კონსტიტუციურობის თაობაზე. კემოდ არნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად გამოაცხადა სადვო ნორმის ნორმატიული შინაარსი, რომელშიც გათვალისწინებული იყო, რომ გამომშრალი მარიხუანას პირადი მოხმარების მიზნით შემენისა და შენახვის გამო პირს შეიძლებოდა დაკისრებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისუფლების აღკვეთის სახით.<sup>118</sup> ასევე ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელშიც იმსჯელა არა დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაწესებული სასჯელის კონსტიტუციურობის თაობაზე, არამედ შეაფასა კონკრეტული ქმედებისა, მარიხუანას მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების კონსტიტუციურობა. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273–ე მუხლის სიტყვების „ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას მოხმარებისთვის.<sup>119</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებები ნათელ მაგალით წარმოადგენს იმისას, თუ რა როლი ეკირება საკონსტიტუციო სასამართლოს ქვეყანაში სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განსაზღვრაში. აღნიშნული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ორგანო ვალდებული გახდა შეემსუბუქებინა ნარკო პოლიტიკა ქვეყანაში და ამისათვის მას მოუწია საკანონმდებლო ცვლილებების გნხორცილება

---

<sup>118</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმე №1/4/592, 24 ოქტომბრის 2015

<sup>119</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმე №1/13/732, 30 ნოემბრი. 2017.



შესაბამის ნორმატიულ აქტებში.

#### 4.4 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თავისებურებანი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხები.<sup>120</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 60-ე და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლებში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების არსებითად განხილვისას იღებს გადაწყვეტილებას. ხოლო გამონაკლისია „დასკვნა“,<sup>121</sup> როდესაც სასამართლო თავისი დასკვნით ადასტურებს თანამდებობის პირის მიერ კონსტიტუციის დარღვევას ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობს,<sup>122</sup> აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც ექვემდებარება რატიფიცირებას. „არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადაწყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.“<sup>123</sup> აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს

<sup>120</sup> [„საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“](#)

კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 19.1.

<sup>121</sup> იხ: იქვე. მუხლი 43.1.

<sup>122</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 48.2

<sup>123</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 60.5

განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“.<sup>124</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-20 მუხლი მეტყველებს იმაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუძალა არ გააჩნია და აქედან გამომდინარე მის საფუძველზე საერთო სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი არ ექვემდებარება გაუქმებას. ლოგიკურია დავსვათ კითხვა, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად დადგინდა, რომ ის ნორმა რომლის საფუძველზედაც საერთო იურისდიქციის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი წარმოადგენს არაკონსტიტუციურს, ასეთ შემთხვევაში ხომ არ წარმოიშობა არასამართლიანი სასამართლოს საკითხი, იმის კვალობაზე, რომ გამოყენებულია არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმა. სრულიად ლოგიკურია, გავაკრიტიკოთ ის ნორმა რომელიც უკუძლას კრძლავს და არ იძლევა იმის საშუალებას, რომ არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე მიღებული განაჩენი იქნას გაუქმებული. ჩემი აზრით, განაჩენთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა კანონმდებლებს ემსჯელათ და მოეძებნაძოთ გამოსავალი, რომელიც აღნიშნულ საკითხს კითხვის ნიშნების გარეშე მოაწესრიგებდა. რაღა თქმა უნდა, ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მიერ ცნობილ არაკონსტიტუციურ ნორმებს გავლენა არ ექნება აღნიშნულ ნორმებზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებაზე. კერძოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას და იგი არის საფუძველი იმისა, რომ გადასინჯოს განაჩენი.<sup>125</sup> ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო სამართლებრივ

---

<sup>124</sup> „[საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ](#)“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 20.

<sup>125</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 2019 წლის მდგომარეობით. 310 მუხლის „დ“.

გადაწყვეტილებებს აქ უკუძღაზე საუბარი ძალზე საფრთხილოა, იქიდან გამომდინარე, რომ ჩნდება შესაძლებლობა ამით წარმოიშვას უფრო მეტი უსამართლობა და უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის სამართლებრივ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენ მისი საბოლოობა.<sup>126</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ ექვემდებარება აპელაციას და არ არსებობს მისი გაუქმების, ანდაც გადასინჯვის არანაირი საშუალება. აქედან გამომდინარე ნათელი ხდება რა უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება საკონსტიტუციო სასამართლოს და თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყანაში სამართლებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. რა თქმა უნდა, არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება დადებითად იქნეს შეფასებული. ყოველი გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს და უნდა გახდეს კიდევ საზოგადოების მხრიდან განსჯის საგანი. აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული, რომ საზოგადოების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოსადმი ნდობის ხაზი გადის თითოეულ მოსამართლეზე და მათ საქმიანობაზე, აქედან გამომდინარე, როდესაც ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების დასახელება აუცილებლად ყურადღება უნდა გამახვილდეს კანდიდატის კვალიფიციურობასა და კეთილსინდისიერებაზე და არა მის პოლიტიკურ მიმხრობლობაზე. ეს უკანასკნელი შესაძლოა დამღუპველიც კი აღმოჩნდეს სახელმწიფოს განვითარებისათვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობას დიდი მნიშვნელობა აქვს თავად საკონსტიტუციო სასამართლოსთვისაც, რაც თვითშეზღუდვაში გამოიხატება<sup>127</sup>. პირველ რიგში საბოლოობის თვალსაზრისით თვითონ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს ერთმევა შესაძლებლობა პირობითად დაშვებული შეცდომა გამოასწოროს, ანდაც

<sup>126</sup> „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995. მუხლი 60.5

<sup>127</sup> ერემაძე ქ. „საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკიტხთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები“ (სტატია) საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი. გვ.5.

ადრე მოწესრიგებული საკითხი სხვაგვარად მოაწესრიგოს.

ისევე, როგორც ყველა გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც ჭირდება აღსრულება. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად „საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი“. <sup>128</sup> ასევე საინტერესო ამავე კანონის 14 ე მუხლს 2 პუნქტი, რომელშიც საუბარია რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი „იღებს ზომებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის და თვეში ერთხელ მოახსენებს პლენუმს მათი აღსრულების მიმდინარეობის თაობაზე,“<sup>129</sup> მაგრამ არსადაა ნახსენები რა ზომების მიღების კომპეტენცია გააჩნია, რათა შეძლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე გავლენის მოხდენა. სავარაუდოა, რომ მისი კომპეტენცია საინფორმაციო ხასიათს ატარებს. ამასთანვე ორგანული კანონის 25-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ისჯება კანონით. აღნიშნული რამდენად შეგვიძლია ჩავთვალოთ გადაწყვეტილების აღსრულების ერთ-ერთ ბერკეტად? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად გადაწყვეტილების აღსრულებაში ხელშეშლა წარმოადგენს დასჯად ქმედებას, მაგრამ რამდენად შეგვიძლია აღნიშნული მუხლი მივუსადაგოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას წარმოადგენს მსჯელობის საგანს. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა ეკისრებათ, როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს ისე ხელისუფლების წარმომადგენელს ან საჯარო მოხელის. აქედან გამომდინარე, როდესაც საქმე გვაქვს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან და რომელიც უნდა აღსრულოს კონსტიტუციურმა ორგანომ მაგალითად საქართველოს პარლამენტმა. ჩნდება კითხვა, სად გადის კონსტიტუციურ ორგანოსა

---

<sup>128</sup> „[საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ](#)“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996. მუხლი 25.3

<sup>129</sup> იხ: იქვე. მუხლი 14.2. „დ“

და ფიზიკურ პირს შორის პასუხისმგებლობის დაკისრების ხაზი. როგორ შეიძლება მოხდეს პარლამენტის მხრიდან გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა? ამასთან დაკავშირებით ქართული კანონმდებლობა დუმს. უნდა ჩავთვალოთ, რომ ორგანული კანონის ის დათქმა, რომ გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ისჯება კანონით არ ვრცელდება კონსტიტუციურ ინსტიტუტებზე. აქედან გამომდინარე ჩვენ გვიწევს საუბარი პოლიტიკურ კეთილ ნებაზე, რომელიც უნდ გააჩნდეს კონსტიტუციურ ინსტიტუტებს, რათა აზრი არ დაეკარგოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირებას, იმ თვალსაზრისით, რომ მას არ გააჩნია აქტიური ბერკეტები იმისათვის, რომ მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილება აღსრულებადი იყოს. მიმაჩნია რომ უნდა შეიქმნას იმგვარი ბერკეტები, რომლითაც გამოირიცხება მხოლოდ პოლიტიკური კეთილი ნება გადაწყვეტილების აღსრულებისათვის.

## დასკვნა

სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად შესაძლებელია გაიზარდოს ცალკეული ხელისუფლების, როგორც ვალდებულებები ისე უფლებებიც, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ინსტიტუციური გაძლიერება. როდესაც სახელმწიფოს ინსტიტუტები ვითარდებიან საჭირო ხდება ახალი საკონტროლო ფუნქციებით

მათი აღჭურვა, რათა ეფექტურად მოხდეს ხელისუფლების დანაწილებისა და კონტროლის რეალიზაცია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო ერთი ინსტიტუტის განვითარება და ფუნქციური გაძლიერება იწვევს ახალი საკონტროლო ბერკეტების შექმნასა და საკანონმდებლო დონეზე დახვეწას. სწორედ ნაშრომში განვითარებული მსჯელობა ეხება საქართველოში არსებული ურთიერთ კონტროლის მექანიზმების შეფასებასა და მათ გავლენას სახელმწიფოს დემოკრატიულობის განსაზღვარში.

ნაშრომში განხილულია საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები, თუ რა დამახასიათებელი ნიშნები გააჩნიათ. რომელი ორგანო წარმოადგენს ოპტიმალურ საშუალებას საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისათვის. ასევე დეტალურად არის განხილული საკონსტიტუციო კონტროლის ძირითადი სახეები და შეფასებულია რომელი მათგანი რა დოზით ერევა სახელმწიფოს ინსტიტუტების ფუნქციონირებაში. ნაშრომში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე ნათლად გამოჩნდა საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს როლი ხელისუფლების დანაწილებაში და მისი ადგილი კონსტიტუციურ ორგანოთა შორის. საკონსტიტუციო სასამართლო არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უმაღლესი კონსტიტუციური ორგანო, რომელიც ახორციელებს სასამართლო ხელისუფლებას საკონსტიტუციო მართლმსაჯულების და კანონით გათვალისწინებული სხვა ფორმების მეშვეობით.

საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ნეგატიური კანონმდებლის ფუნქცია. აქედან გამომდინარე ნაშრომში განხილულია თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლის პოლიტიკის განვითარებაზე, და როგორ შეიძლება ეს აღქმული იყოს ხალხის მიერ. ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესაძლოე ყოველთვის არ ემთხვეოდეს საზოგადოების ინტერესებს. ამასთანვე აღნიშნულს მკვეთ უარყოფით

ელფერს აძლევს ისიც, რომ გადაწყვეტილების გადასინჯვის ანდაც გაუქმების ბერკეტს ქართული კანონმდებლობა არ იცნობს. აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს იმ პრინციპით, რომ იდიალური არ შეიძლება რამე იყოს და მათ შორის არც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარე უნდა მოიძებნოს შუალედური რგოლი რაც საკონსტიტუციო სასამართლოს „შესაძლო არასწორი გადაწყვეტილების“ გამოსწორების საშუალებას მოგვცემს.

როგორც ყველა გადაწყვეტილებას, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასაც ჭირდება აღსრულება, მაგრამ რა ბერკეტები გააჩნია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამისათვის საკითხავია. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება იქნეს არსრულებული არ არსებობს რეალური და ქმედითი ბერკეტი. ამიტომ კანონმდებელმა უნდა განსაზღვროს ისეთი საშუალებები, რითაც გახდება შესაძლებელი განისაზღვროს გარკვეული იძულების ფორმა კონსტიტუციური ორგანოებისათვის, რათა მათ ვერ შეძლონ საკონსტიტუციო გადაწყვეტილების იგნორირება და რომლითაც გამოირიცხება მხოლოდ პოლიტიკური კეთილი ნების არსებობას იმისათვის, რომ გადაწყვეტილება იქნეს აღსრულებული.

### გამოყენებული ლიტერატურა

#### ნორმატიული აქტები:

1. „საქართველოს კონსტიტუცია“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 24/08/1995.
2. „საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 31/01/1996
3. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ 2019 წლის მდგომარეობით

4. „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო) 06/12/2018.

### სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ ენაზე:

1. ბეგიაშვილი მ. ბოსტოლანაშვილი დ. ლეჟავა დ. ლოსაბერიძე დ. მკალიშვილი მ. ნოზაძე გ. ნოზაძე ს. „დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა“ გამოცემულია სახალხო უნივერსიტეტთა გერმანულ ასოციაციის საქართველოს ფილიალის „თბილისის პროექტა ბიუროს“ მხარდაჭერით. თბილისი 2007.
2. გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2017
3. გონაშვილი ვ. ერემაძე ქ. თევდორაშვილი გ. კახიანი გ. კვერენჩილაძე გ. ჭილაძე ნ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2016
4. გეგენავა დ. ქანთარია ბ. ცანავა ლ. თევზაძე თ. მაჭრაძე ზ. ჯავახიშვილი პ. ერქვანია თ. პაპაშვილი თ. „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“ მესამე გამოცემა. გამომცემლობა დავიტ ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი. 2015
5. გეგენავა დ. ჯავახიშვილი პ. ლადო ჭანტურია საიუბილეო გამოცემა 55. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო: პოზიტიური კანონმდებლობის მცდელობა და გამოწვევები“ გამომცემლობა დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი
6. დემეტრაშვილი ა. კობახიძე ი. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „ინოვაცია.“ თბილისი 2011
7. დემეტრაშვილი ა. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი. „კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო“ სახელმძღვანელო მომზადებული და გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით“ თბილისი 2005
8. დემეტრაშვილი ა. კობახიძე ი. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი. 2010
9. დემეტრაშვილი ა. კობახიძე ი. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „რაიზი“ თბილისი 2014
10. დემეტრაშვილი ა. გოგიაშვილი გ. „კონსტიტუციური სამართალი“ გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბილისი. 2016
11. ზოიძე ბ. „საკონსტიტუციო წესრიგი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში“ გამომცემლობა „GTZ“. თბილისი 2007
12. ლორია ვ. „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი. 2004



13. ლორია ვ. „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“ გამომცემლობა ცოტნე. თბილისი. 2000
14. მელქაძე ო. „კონსტიტუციონალიზმი“ გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი .2008
15. მელქაძე ო. ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი. „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი“ თბილისი 2008
16. რუხაძე ზ. „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“ აიწყო და დაკაბადონდა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. ბათუმი. 1999.
17. შვარცი ჰ. კონსტიტუციური მართლმსაჯულების დამკვიდრება პოსტკომუნისტურ ევროპაში. თბილისი გამომცემლობა სეზანი 2003
18. შაიო ა. „ხელისუფლების თვითშეზღუდვა“ გამომცემლობა სეზანი. თბილისი. 2003
19. ხუბუა გ. „სამართლის თეორია“ გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი. 2004

#### **დისერტაცია:**

1. კახიანი გ. „საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი და მისი ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში:კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი“ (დისერტაცია), თსუ, 2008

#### **სამეცნიერო ჟურნალები:**

1. ერემაძე ქ. „საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები“ (სტატია) საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი.
2. ლუაშვილი გ. საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი და 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმა“ საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №2/2018
3. ქობალია შ. „კონსტიტუციური კონტროლის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული მოდელების შედარებითი ანალიზი მოდერნული კონსტიტუციის ნარკვევებიდან“ საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი გამოცემა №2 / 2018
4. ფუტკარაძე ი. „საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში“ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. 2010
5. ხეცურიანი ჯ. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება“ ჟურნალ-ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2006, N3
6. ხეცურიანი ჯ. „საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი ხელისუფლების დანაწილების სისტემაში“ (სტატია) საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი. გამოცემა №1 / 2018

### სასამართლო პრაქტიკა:

1. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე”. N3/4/641, 29 სექტემბერი, 2016
2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ” N1/10/703. 2017. 13 ოქტომბერი.
3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე”. N3/4/641, 29 სექტემბერი, 2016
4. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმე №1/13/732, 30 ნოემბრი. 2017.
5. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმე №1/4/592, 24 ოქტომბრის 2015
6. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე - ლალი ლაზარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქმე №3/6/642, 10 ნოემბრი, 2016

### სამეცნიერო ლიტერატურა უცხოურ ენაზე:

1. Nathan J. Julian G. Oxford University Press and New York University School of Law. „Constitutional courts and political uncertainty: Constitutional ruptures and the rule of judges" journals. The Author 2017 See: <<https://academic.oup.com/icon/article/14/4/817/2927936>>
2. Faber f. The Austrian Constitutional Court – An Overview. ARTICLE 2008 . See: <<https://www.osce.org/odihr/37171?download=true>>

### ინტერნეტ რესურსები:

1. ჯონ ლოკი „მეორე ტრაქტატი სამოქალაქო მართებულობაზე” იხ. <<https://burusi.wordpress.com/2013/07/25/lock/>>
2. კონსტიტუციის 42-ე მუხლი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

საქმიანობის შესახებ ჩატარებული კვლევის ანგარიში” 2017.

<<https://article42.ge/media/1001447/2017/09/11/7b9cbee61f24e9585ff91d269c8ba8f8.pdf>>

3. საკონსტიტუციო სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკა იხ: <<http://constcourt.ge/uploads/other/4/4256.docx>>
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდი. იხ: <<http://constcourt.ge/ge/court/brief-history>>
5. „საკონსტიტუციო სასამართლო როგორც მეოთხე ხელისუფლება (?): რისკები და გამოწვევები” იხ: <<https://www.interpressnews.ge/ka/article/346406-sakonstitucio-sasamartlo-rogorc-meotxe-xelisupleba-riskebi-da-gamocvevebi/>>
6. თავაძე ზ. სტატია . „საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება ნარკოპოლიტიკაზე არის ჩვენი გადაწყვეტილებები” იხ: <<https://1tv.ge/news/zaza-tavadze-sakonstitucio-sasamartlos-shefaseba-narkopolitikaze-aris-chveni-gadawyvetilebebi/>>